645
1974



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა ხელოვნება



ივლისი
№ 7 1974 წ.





რუსთავის ქიმიურ-მეტალურგიული ტექნიკუმის პედაგოგი ნაზი მეფარიძე (მარცხნივ) და ქიმიური კომბინატის მუშაკი მედეა თალაკვაძე მარტენის საამქროში. მათ 1950 წელს მონაწილეობა მიიღეს პირველი ქართული ფოლადის ჩამოსხმაში.

მარტენის საამქროს მოწინავე მუშა, კალატოზი ეთერ გაგნიძე. იგი ცეცხლგამძლე აგურისაგან აშენებს მარტენის ღუმელის კედლებს.



„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად

მარტენის საამქროში

# ქარხნის თავზე ვარსკვლავები კიაფობენ

12403

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის თბოელექტროცენტრალის, კოქსოქიმიური, ფოლადსადნობი და მილამდიდავ საამქროთა თავზე წითლად კაშკაშებენ ვარსკვლავები. ეს იმის მაუწყებელია, რომ ამ საამქროთა კოლექტივებმა 1973 წლის საგეგმო დავალებანი წარმატებით შეასრულეს.

ვარსკვლავები ქარხნის სხვა საამქროთა კორპუსებზეც არის აღმართული, მაგრამ ჯერ არ ანთია. ისინი აკიაფდებიან მაშინ, როცა ეს საამქროებიც მოწინავეთა რიგებში ჩადგებიან და ხუთწლედის განმსაზღვრელი წლის დავალებას პირნათლად შეასრულებენ.

ასეც მოხდება.

ამის თავდებია რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მიერ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მოპოვებული თვალსაჩინო შრომითი წარმატებანი, რისთვისაც მას, როგორც საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საწარმოს, სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს, მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მიეკუთვნა. განსაკუთრებით ისახელეს თავი მებრძმედეებმა, ისინი ჩვენი ქვეყნის საბრძმედე საამქროთა კოლექტივებს შორის მესამე ადგილზე გამოვიდნენ. სასიხარულოა, რომ ასეთი მაჩვენებლები მოიპოვა საამქრომ, რომელიც მეცხრე ხუთწლედის პირველ ორ წელს გეგმის შესრულებაში საგრძნობლად ჩამორჩებოდა.

და განა მარტო ეს საამქრო! მთლიანად რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ პირველ ორ წელიწადში სამშობლოს დააკლო დიდძალი თუჯი, ფოლადი, ნაგლინი და მილები. დამკვეთი საწარმოებიდან იგი უამრავ შეტყობინებას იღებდა დაკვეთის შეუსრულებლობის გამო, დაბალი იყო სხვა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლებიც.

ხუთწლედის გადამწყვეტი წელი რუსთაველი მეტალურგებისათვის მუშაობის გარდატეხის წლად იქცა. ამ წელს მათ სამშობლოს სრული მეტალურგიული ციკლით გეგმის შესრულება უპატაკეს, ზეგეგმით გამოუშვეს ათასობით ტონა თუჯი, ნაგლინი, მილები და ლითონის სხვა პროდუქცია. ქარხანა მტკიცედ დადგა სტაბილური, რიტმული მუშაობის გზაზე.

მიმდინარე წლის პირველმა კვარტალმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ამ პერიოდის ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები



კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგრძნობლად აღემატება გასულ წელს მიღწეულს. აი, ამის დასტური უტყუარი ციფრებიც: ხუთწლედის განმსაზღვრელი წლის პირველ კვარტალში გეგმის გადამეტებით წარმოებულია 3.000 ტონა თუჯი, 7.463 ტონა ფოლადი, 13.015 ტონა მზა ნაგლინი, 1.790 ტონა უნაწიბურო მილები. სამ თვეში ზეგეგმით რეალიზებულია 2,51 მილიონი მანეთის პროდუქცია, გეგმასთან შედარებით პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია 1,42 მილიონი მანეთით, ზარალი კი — 480 ათასი მანეთით ანუ 48 პროცენტით. ერთი მანეთის სასაქონლო პროდუქციაზე დანახარჯებმა შეადგინა 99,1 კაპიკი, შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 6,3 პროცენტით, უფრო მეტად, ვიდრე ეს დაგეგმილი იყო. 1974 წლის პირველ კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გამოშვებულია 125 ათასი მანეთით მეტი სასაქონლო პროდუქცია, ამავე პერიოდში შესაბამისადვე ფოლადის წარმოება გაიზარდა 6,6 პროცენტით, მზა ნაგლინისა — 5,6 პროცენტით და, რაც მთავარია, ბოლო წლების მანძილზე ქარხნის კოლექტივმა პირველად ამ კვარტალში შეასრულა პირნათლად დაკვეთების გეგმა. ყველა დამკვეთმა გათვალისწინებული რაოდენობით და დროულად მიიღო რუსთაველ მეტალურგთა ნახელავი პროდუქცია. აქ სასახელოდ სრულდება საგეგმო დავალებანი მომდევნო თვეებშიც და ყველა წინაპირობაა შექმნილი კომუნისტური შრომის უფრო მაღალ ზღუდეთა დასაპყრობად.

ბუნებრივად იბადება კითხვა — რამ განაპირობა მუშაობაში ესოდენ მკვეთრი გარდატეხა? ამ შეკითხვაზე რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორმა ოთარ სულაძემ გვიპასუხა:

განვახორციელეთ მნიშვნელოვანი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი, პრაქტიკაში დავნერგეთ სოციალისტური შეჯიბრების ქმედითი ფორმები, გავაუმჯობესეთ მეტალურგთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობები, მოვიზიდეთ ჩვენგან წასული ძველი კადრები. დიახ, მუშაობაში გარდატეხის მიზეზი უამრავია, ერთ-ერთი ძირითადთაგანი კი ისეთი ატმოსფეროს შექმნაა, რამაც მუშას გამარჯვებისაკენ მისწრაფება და რწმენა განუმტკიცა. როგორც ზემდგომი ორგანოების, ასევე წარმოების ხელმძღვანელთა მზრუნველობასა და ყურადღებას მეტალურგებმა თავიანთი მუშური სინდისი შეაგებეს. ყველა ერთნაირი მონდომებით დაირაზმა ჩამორჩენის ბოლომდე დასაძლევად, მიმდინარე წლის მაღალ საწარმოო ვალდებულებათა სასახელოდ შესრულებისათვის. და აი, როგორც ხედავთ, შედეგმაც არ დააყოვნა. თუ როგორ მივაღწიეთ ყოველივე ამას და რას ვაპირებთ აღებული ტემპის შესანარჩუნებლად, ამის ნათელ სურათს მოგცემთ საწარმოს ცხოვრების ახლოს გაცნობა.

მართლაც, ბევრი რამ საინტერესო შევიტყვეთ ქარხნის მრავალრიცხოვან განყოფილებებში, ძირითად და დამხმარე საამქროებში, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ კომიტეტებში, რიგით მეტალურგებთან გასაუბრებისას.

გადიდებული სოციალისტური ვალდებულებების, თავიანთი შემხვედრი გეგმების შესრულებას რუსთაველი მეტალურგები ცდილობენ არსებული საწარმოო რეზერვების მაქსიმალური გამოვლინებით და სამეურნეო პრაქტიკაში მათი ეფექტურად გამოყენებით, ახალ სიმძლავრეთა ათვისების გარეშე მოძველებული დანადგარების რეკონსტრუქციით, მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების, საწარმოო პროცესთა ავტომატიზაციისა და მექანიზაციის კომპლექსურად დანერგვით.

ქარხნის კოლექტივი თანამშრომლობს ჩვენი ქვეყნის 30-ზე მეტ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან. საწარმოს სპეციალისტები დამოუკიდებლად, ან მათთან ერთად ასზე მეტ აქტუალურ თემას ამუშავებენ და ამდენივე ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებას ახორციელებენ. აქ ჯეროვანი ყურადღება ექცევა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის განხორციელებას, შრომატევად პროცესთა მექანიზაციას, საწარმოო ესთეტიკას. აი, მრავალთაგან ზოგიერთი ფაქტი: ბევრი შრომატევადი ოპერაცია დღეისათვის მექანიზებულია საბრძმედე და მარტენის საამქროებში, ხოლო ავტომატიზებულია მილსაგლინავ საამქროში. მოწყობილობათა სრულყოფისა და მათი მოვლის გაუმჯობესების შედეგად მარტენის საამქროში ღუმელების მოცდენა ერთიორად შემცირდა. მილნამზადის მისაღებად ფოლადის უწყვეტ ნაკადად ჩამოსხმის დანადგარის ათვისებამ ბოლო ერთ წელიწადში 466 ათასი მანეთი დაუზოგა მეტალურგებს. ექვსის ნაცვლად ბლუმინგს გასაგლინავად შვიდტონიან სხმულებს აწვდიან, რამაც ამ მძლავრი დგანის გამტარუნარიანობა საგრძნობლად აამაღლა.

მეტალურგთა წარმატების ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობაა კარგად ორგანიზებული სოციალისტური შეჯიბრება, მოწინავე გამოცდილების ფართოდ განზოგადება. კოქსოქიმიურ, წვრილსორტულ, მილამდიდავ და ჟანგბადის საამქროებში გაკრულია მემორიალური დაფები, რომლებიც გვაუწყებენ, რომ ამ საამქროთა კოლექტივები გამარჯვებულნი გამოვიდნენ მეცხრე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის დავალებათა შესრულებაში.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები ცდილობენ აღზარდონ მეტალურგები საუკეთესოთა შრომითს ტრადიციებზე. მარტენის საამქროში დაწესებულია ცნობილი მეფოლადის — გიორგი სიგუას სახელობის გარდამავალი თასი. გ. სიგუა, პირველი რუსთავული ფოლადის გამოდნობის მონაწილე, ორი წლის წინათ გარდაიცვალა. ამაგდარი, წარჩინებული მეფოლადის სახელი დღესაც ცოცხლობს საწარმოში. და აი, პირველი მეფოლადის ხსოვნის უკვდავსაყოფად საამქროში მისი სახელობის თასი დაწესდა. თასის მოპოვებისათვის ბრძოლა გააჩაღა ყველა მარტენული ღუმელის კოლექტივმა. ბოლოს გამარჯვება წილად ხვდა № 3 ღუმელის მომსახურე პერსონალს, მათ მეფოლადეები: გრიგოლ სეფისკვერაძე, ილო ქოქიაშვილი, ორდე ცირამუა და ვლადიმერ მეტრეველი თავკაცობენ. ფოლადის დნობის ეს სახელოვანი ოსტატები არც ახლა უთმობენ ვინმეს პირველობას. მათ განსაკუთრებით ისახელეს თავი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების დღეებში. საბაბიც ჰქონდათ: მათი თანამოსაქმე ვლადიმერ მეტრეველი მემარტენეებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენეს.

ქარხანაში ჯეროვანი ყურადღება ექცევა სოციალისტური შეჯიბრების მასობრიობას. ფართო მასშტაბი მიიღო შეჯიბრებამ ხელშეკრულების საწყისებზე. ამჟამად საწარმოში ათობით ბრიგადას, ასობით მუშას ერთმანეთთან დადებული აქვთ ასეთი ხელშეკრულება, რომლის შესრულების მიმდინარეობას რეგულარულად ამოწმებენ. საერთოდ, სოცშეჯიბრების შედეგები ქარხანაში, როგორც წესი, თვეში ერთხელ ჯამდება. გამარჯვებულებს საამქროთა და უბნების კრებებზე ასახელებენ. საერთოდ, დაწინაურებულთა მორალურ წახალისებას მატერიალურ წახალისებაზე არანაკლებ ყურადღებას აქცევენ.

მეტალურგები ერთიანი ძალითა და მონდომებით იბრძვიან არსებულ ნაკლოვანებათა ოპერატიულად გამოსწორებისათვის. ბოლო პერიოდში ბევრი რამ გაკეთდა შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის განსამტკიცებლად, წარმოების ყველა უბანზე მაღალნაყოფიერი შრომის წინაპირობათა შესაქმნელად, ამაღლდა ყველა რანგის სამეურნეო ხელმძღვანელისადმი მომთხოვნელობა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. მთლიანად გადაკეთდა და კეთილმოეწყო ქარხნის სასადილოები, სადაც კერძები იყიდება ხელმისაწვდომ ფასებში. ცალკეულ საამქროებში დაიწყო საშხაპეებისა და სხვა ობიექტების რეკონსტრუქცია. მეორე წელია მოქმედებს ქარხნის სასათბურე მეურნეობა, რომელიც ზამთარში ახალი კიტრით, პამიდორითა და მწვანილეულით ამარაგებს მუშათა სასადილოებს. მნიშვნელოვნად გადიდდა საბინაო მშენებლობა. მარტო მიმდინარე წლის ბოლომდე 500-მდე მეტალურგის ოჯახი იზეიმებს ახალმოსახლეობას. განზრახულია იალღუჯის მთაზე დაიწყოს დასასვენებელი კომპლექსის მშენებლობა, სადაც წარმოებისაგან მოუწყვეტლივ ყოველთვიურად დაისვენებს ასობით მეტალურგი. ახლო მომავალში ექნებათ დახურული საცურაო აუზი. უმაღლესი განათლების მიღების მსურველი ახალგაზრდა მუშებისათვის საწარმოში გაიხსნება მოსამზადებელი კურსები პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შესასვლელად...

ყველა ამ ღონისძიების შედეგია, რომ ქარხანას დაუბრუნდა 500-ზე მეტი მეტალურგი, რომლებმაც წინა წლებში მიატო-

ვეს წარმოება. ხუთწლედის გადამწყვეტ წელს, 1972 წელთან შედარებით, ერთიორად შემცირდა სამუშაოს უმიზეზოდ გაცდენა.

ქარხანას შორს გაუთქვეს სახელი მისმა სახელოვანმა ადამიანებმა. საწარმოში მუშაობს სოციალისტური შრომის სამი გმირი, მებრძმედეები: ვარდიშ კობერიძე და არჩილ ძამაშვილი, მემარტენე ამირან ფანცულაია. აქ უთვალავი უვარსკვლავო გმირია. 1973 წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის მთავრობის ორდენებითა და მედლებით მარტო წელს 80-ზე მეტი მეტალურგი დაჯილდოვდა. მათ შორის უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი მიეკუთვნა მეფოლადე ილო ქოქიაშვილს, ოქტომბრის რევოლუციის ორდენი — მილსაგლინავი საამქროს უფროსს მვალცავს არქიპო ლომთაძეს, შრომის წითელი დროშის ორდენი — მეფოლადე იური გურგენიძეს, უფროს ოპერატორებს: ირაკლი მჭედლიშვილს, ლავრენტი აგამიანს, ზეინკალთა ბრიგადირს შოთა გრიგალაშვილს, ხარატ ვაჟა ლილუაშვილს და სხვებს.

რუსთავში არიან სახელოვანი მეტალურგი ქალები. შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა მემანქანე-ოპერატორი ლუდმილა ვასილიევა, „საპატიო ნიშნის“ ორდენებით — დამღის ამომკვეთელი ეთერ ანთიძე, ამწის მემანქანე ვერა კოვალიოვა, საქვაბის მემანქანე ლილი ცისკარიშვილი, ოპერატორი გალინა ლატიშევა, დამხარისხებელი ნუნუ ჩიკვილაძე, ოპერატორი ანა ერემენკო, კალატოზი ეთერ გაგნიძე, ამწის მემანქანე თამარ ანასტასოვა, დამხარისხებელთა ბრიგადირი მანია მჭედლიშვილი, მზარეული მარია პუცინინა და სხვები.

რუსთაველი მეტალურგები მიღწეულით არ კმაყოფილდებიან. მათ კარგად იციან, რომ მომავალში რეზერვთა უკეთ ასამოქმედებლად უფრო ნაყოფიერი მუშაობა მართებთ. საწარმოს მშრომელები დიდი ინტერესით გაეცნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. დადგენილებაში რუსთავის მეტალურგიული ქარხნის შემდგომი განვითარებისა და რეკონსტრუქციის მიზნითაც დიდძალ სამუშაოთა შესრულებაა გათვალისწინებული.

* * *

ქარხნიდან შებინდებისას გამოვბრუნდით საწარმოს პარტიული კომიტეტის მდივნის კოტე ბაქრაძის თანხლებით. სიამაყით გავხედეთ გამარჯვებულ საამქროთა ზემოთ ანთებულ ვარსკვლავებს.

— წლის ბოლოსათვის ასეთი ვარსკვლავები თითქმის ყველა საამქროს თავზე აკაშკაშდება, — ამბობს კოტე ბაქრაძე.

და მაშინ ქარხნის თავი მოწმენდილ ზეცას დაემსგავსება.

გ. გელაშვილი,
გაზეთ „სოციალისტური რუსთავის“ რედაქტორი.







ამწის მემანქანე ვერა კოვალიოვა

დამხარისხებელი ნუნუ ჩიკვილაძე

ოპერატორი ანა ერემენკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საკავშირო ალკკ მე-17 ყრილობის დელეგატის გულის-ტკივილი



ყრილობისათვის მზადების წინადღეები იყო. ნათელა სულიაური, საგარეჯოს რაიონის კოჭბაანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რამდენიმე სხვა მოწინავე ახალგაზრდასთან ერთად დედაქალაქში ჩამოვიდა, რომ ყრილობის წინ ერთხელ კიდევ გადაეხედა იმ რეზერვებისათვის, რომელთა ამოქმედება უდავოდ შეუწყობდა ხელს მეცხრე ხუთწლედის განმსაზღვრელი წლის გეგმების წარმატებით შესრულებას.

— თუ ყრილობაზე მომიწია გამოსვლა, უსათუოდ ჩვენს გასაჭირზე უნდა ვილაპარაკო, — გამიზიარა ფიქრი ნათელამ. — ჩვენს რაიონში არის სოფლები, სადაც მხოლოდ 2, 4 და 7 კომლია. ჩემი აზრით, მიგრაცია სადღეისო პრობლემაა. და თუ დღეს ვერ მოგვარდა, ხვალ პრობლემათა მთელი კომპლექსის წინაშე დაგვაყენებს.

ყველაზე არასასიამოვნო კი ის არის, რომ მიგრაციაზე ძალიან ხშირად და ბევრსაც ლაპარაკობენ, მაგრამ ამ ლაპარაკს საქმე რატომღაც არ მოსდევს ხოლმე.

მეცნიერულად დასაბუთებულია მიზეზები, რომლებიც იწვევენ მიგრაციას, მაგრამ კონკრეტულად ჩვენი კოლმეურნეობის ამბავს გეტყვით.

დავიწყოთ იმით, რომ კაცი არსად არ წავა იმ ადგილიდან, სადაც კარგად გრძნობს თავს, მით უფრო, თუ ის მისი მშობლიური კერაა.

ახლა დავსვათ კითხვა:

კი მაგრამ, რატომ არ გრძნობს თავს კარგად ჩვენს კოლმეურნეობაში ქალიშვილი ან ჭაბუკი?

გამომუშავება, თუკი იმუშავებს, ცუდი არაა. ყველას ხომ ფული არ აინტერესებს! ახალგაზრდებთან არაერთხელ მქონია გულახდილი საუბარი ცალცალკეც, კრებაზეც, კაბინეტშიც.

ყველა ამ ნალაპარაკევს რომ თავი მოვუყაროთ, დავრწმუნდებით, რომ ახალგაზრდას აინტერესებს, უპირველეს ყოვლისა, სამუშაოს ხასიათი, შეესაბამება თუ არა ის მის წარმოდგენაში არსებულ ეტალონს სამუშაოს თანამედროვე ხასიათზე. და მერე, თავისუფალი დროის პრობლემა. აქ შეიძლება ვინმე შემოგვედავოს — ოციოდე წლის წინ უარესი მდგომარეობაც იყო, მაგრამ ახალგაზრდობა სოფელს არ გაურბოდაო.

ჯერ ერთი, ეს შეღავათი არ არის, და მეორეც, შეიძლება ამ ფაქტსაც მოეძებნოს ახსნა: ოციოდე წლის წინათ ინფორმაციის საშუალება ასეთი მდიდარი არ იყო.

დღეს ჩვენი ქალიშვილები და ჭაბუკები ერთ საღამოს ნახულობენ ტელევიზორის ეკრანზე იმდენ სანახავს, რაც წინათ შეიძლება 4-5 წლის მანძილზე ვერ ენახათ. უმრავლეს შემთხვევაში ეს სანახაობა მიმზიდველია.

უცქერის არამექანიზებულ ფერმაში საკმაოდ მძიმე შრომით დაღლილი ახალგაზრდა ეკრანს და ფიქრობს: — ეჰ, ცხოვრობენ ახალგაზრდები! გაკრიალებული მანქანის საჭესთან სხედან, ან გაკრიალებულ დაზგასთან დგანან, საამქროში პალმა დგას, ფერადი პლაკატებია, დღის განათებაა.

საღამოს საცურაო აუზში ან კალათბურთის მოედანზე მიდიან, კლუბში ახალ სიმღერებს სწავლობენ, ცეკვავენ, ერთი სიტყვით, დუღს და გადადუღს ცხოვრება.

ჭაბუკი ძალაუნებურად ადარებს სინამდვილეს ეკრანზე ნახულს და თქვენც წარმოიდგენთ, როგორ დასკვნას გააკეთებს.

სოფელში არ გვაქვს რიგიანი კულტურის კერა. იშვიათად, ხარვეზებით უჩვენებენ მოძველებულ ფილმებს. მწერალი, მხატვარი, კომპოზიტორი, კინორეჟისორი ჩვენს მხარეში საერთოდ არ ჩამოდიან.

ათობით ახალგაზრდული ანსამბლია თბილისში, თითქმის ყოველ ინსტიტუტს, ყველა ქარხანას ჰყავს თავისი მხატვრული შემოქმედებითი კოლექტივი. რა იქნება, რომ კულტურის სამინისტრომ, კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მოავლინონ ისინი ჩვენს სოფლებში?

ჩვენი ახალგაზრდა პოეტები ასფალტზე ამოსულ ბალახის ღეროს რომ ნახავენ, აცრემლდებიან, ეს რა ვნახეთო, და ლექსებს წერენ ამაზე. რა უჭირთ მათ, რომ ერთად შეიკრიბონ და სოფელში სტუმრობის სურვილი გამოთქვან.

მაინცდამაინც ენგურჰესს უნდა ვაშენებდეთ, რომ ღირსნი გავხდეთ მათი პირადი გაცნობისა?

ჩვენც ვაკეთებთ ჩვენს წილ საქმეს, შესაძლოა, არა ისეთ გიგანტურს და პოეტურს, მაგრამ — უდავოდ საჭიროს.

მიწადმოქმედის შრომა ჰკვებავს პლანეტას და რაკი ასეა, მიწადმოქმედსაც სჭირდება ზრუნვა და შთაგონება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი კოლმეურნეობის მთიანი რელიეფი ტექნიკის სრულყოფილად გამოყენების საშუალებას არ იძლევა. ტექნიკა არა საკმარისი და მოუხერხებელია და რაც არის ისიც მალე გამოდის მწყობრიდან. ჭირს სათადარიგო ნაწილების შოვნა, მანქანა-იარაღების დროული და ხარისხიანი შეკეთება. ამას დაუმატეთ ის გარემოებაც, რომ გვაკლია მექანიზატორები. ადგილობრივი ცოტაა, ჩამოსული კი სულაც არა გვყავს.

— რატომო? — მკითხავთ.

მთის კოლმეურნეობისათვის სამუშაო სეზონურია. სხვა რაიონიდან ჩამოსული კაცი 4-5 თვე უმუშევრად ხომ ვერ გაჩერდება! რომ გვქონდეს ისეთი დაწესებულება, სადაც მინდვრის სამუშაოებიდან თავისუფალ დროს იმუშავებდა ახალგაზრდა, იქნებ ეს ყოფილიყო გორგლის ერთი წვერი.

მიფიქრია იმაზეც, თუ რა დაწესებულება უნდა იყოს ჩვენს მთიან კოლმეურნეობებში, წამიკითხავს, რომ შვეიცარიასა და სხვა მთიან ქვეყნებში მიგრაციის პრობლემის გადასაჭრელად მთებში აშენებენ ისეთ ქარხნებს, როგორიცაა, საათების, ზუსტი მექანიზმების. ქალაქიდან მთებში საცხოვრებლად წასულ მოსახლეობას აძლევენ კრედიტს...

მე ვოცნებობ მხოლოდ იმაზე, რომ ჩვენთან მუშაობდეს თუნდაც ტურისტული ბაზა. ხელის გაწვდენის მანძილზეა უჯარმის და ბოჭორმის ციხეები, კოჭბაანის ჭეხილა...

ქალაქთან სიახლოვე, კამკამა წყაროები, გამჭვირვალე მთის ჰაერი, ტყე, ულამაზესი სანახები, — სხვა რაღაა საჭირო, რომ აქ რამდენიმე დასასვენებელი სახლი ან სანატორიუმი აშენდეს.

კიდევ რა უწყობს ხელს ახალგაზრდობის წასვლას სოფლიდან?

კოლმეურნეობის ტერიტორიაზე არა გვაქვს საშუალო სკოლა. რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ უმრავლესობა საშუალო განათლების მისაღებად სხვაგან მიდის და შემდეგ აღარ ბრუნდება უკან

ერთი სკოლა-ინტერნატი მაინც რომ გვქონდეს, ვფიქრობ, ასე სანთლით საძებარი არ გვეყოლება ახალგაზრდა კადრები.

კიდევ ერთი პრაქტიკული საკითხი: კოლმეურნეობაში ბევრი ახალგაზრდა დედაა. მათ უჭირთ სამუშაოზე გამოსვლა, რადგან ბავშვებს ვერსად ტოვებენ.

გვჭირდება თუ არა ბაგა-ბაღი?

უდავოდ.

მარტო ჩვენი ძალებით კი ამ საკითხს ვერ გადავწყვეტთ.

ეს ხმამაღალი ფიქრები საქართველოს კომკავშირის ყრილობის ტრიბუნიდანაც გაისმა. შემდეგ ქალიშვილი კომკავშირის საკავშირო ყრილობის დელეგატად აირჩიეს.

კოჭბაანი ნათელას დედულეთია. ჯერჯერობით ნათესავებთან სტუმრობს ქალიშვილი, მომავლისათვის კი დედულეთში პატარა სახლის ჩადგმა აქვს განზრახული, რადგან თუმცა ჩამოსულია, წასვლას არსად აპირებს.

**ნარგიზა მგელაძე**

# ახალი ლექსები

**ლილი ნუცუბიძე**

## ჩემო დღეებო

ჩემო ცაო და
ჩემო ცისკარო,
ჩემო სახლო და
ჩემო ჭიშკარო,
ჩემო მტკვარო და
ჩემო რიონო,
მიწაო, მართლა
ერთო ფიორო.
მთებო, ერთურთზე
გადაგრეხილო,
ჩემო ვაზო და
ჩემო ხეხილო,
საზღვრებო,
ხმალით შემოხაზულო,
მზეჭაბუკებო,
ნაზო ასულნო,
ჩემო ფიქრო და
ჩემო სურვილო,
ჩემო დღეებო
ოქროცურვილო,
თქვენ გაგიმარჯოთ!

## ნუ გეშინია

ზოგჯერ თუ სევდა დანისლავს თვალებს,
ვერ დაიოკებ ცრემლებს ქვინიანს,
ნუ შეგაშინებს უძირო ღამეც,
ვიდრე დედა გყავს, ნუ გეშინია.

თუ გაგიხუნებს გრიგალი ფერებს
და ზამთრის სუსხი თმაზე დაგათოვს,
გულს ნუ გაიტეხ, რა ვუყოთ მერე,
დედის გული და კალთა გაგათბობს.

ნუ შეგაშინებს მეხი იერით,
მეხი უფესვო ხეებს ერევა,
ვიდრე დედა გყავს, შენ ხარ ძლიერი,
ვიდრე დედა გყავს, ვინ მოგერევა.

ბედის ქარაგმას თუ ვერ გაექცე,
წილხვედრი ალო თუ ვერ გახედნე,
დღეში რომ კიდეც ცხრაჯერ დაეცე,
დედის ხელები წამოგაყენებს.

ჭირთა თმენა და დიდი იმედი,
დედა სიცოცხლის თვალის ჩინია,
ვიდრე დედა გყავს, ხარ ბედნიერი,
ვიდრე დედა გყავს, ნუ გეშინია.

**მარი აბრამიშვილი**

## ნახევარი საუკუნის პოეზი

ნახევარი საუკუნე გასულა,
ნახევარი საუკუნის ასული
ვზივარ მარტო მოწყენილი ბავშვურად,
მარტო ვზივარ, ჩემს თავს ვებაასები:

ნაირ-ნაირ მწარით, ტკბილით სავსენი —
ვეუბნები: დაგიცლია თასები,
ვეთანხმები: მართალი ხარ სავსებით,
ვეხვეწები: სხვებს ნუ დაემსგავსები.

ვეკითხები: დრო არ არის იმკიდე?
ვუჯავრდები: დგახარ სადაც, იქ იდექ!
ვეფერები: აი, შენი სიმდიდრე
და ვუბრძანებ:
იყავ ესე სიკვდილმდე!
ნახევარი საუკუნე გასულა
საქართველოს სიყვარულში, ასულო.

* * *

ო, სულ სხვა არის ჩვენი უღელი
და მოუხრელი ჩვენი ბეჭები,
ვერ შეგვედარონ სხვა მეუღლენი
ბედშეკრულები ოქროს ბეჭდებით.

ო, სულ სხვა იყო,
ო, სულ სხვაგვარი
იმ სიყვარულის დაგვირგვინება,
ჩვენი ქორწილი იყო ზღაპარი
და შევრჩით ზღაპარს
კეთილ გმირებად.
გულისტკივილით, რწმენით, იმედით
მოგანდე ბედი გაფითრებულმა,
როგორც მიანდო რუსეთს ივერი
მეფემ, კრწანისთან გათეთრებულმა.

## ხიდი

ზოგჯერ ორ ნაპირს აერთებს ხიდი,
ზოგჯერ ორ გულთან უჩუმრად მიდის,
ხიდი ხიდია ბოლოს და ბოლოს,
ყველა ხიდს ქვეყნად აქვს ორი ბოლო.

თუ ფეხი შედგი, გადი ბოლომდე,
თუ გიყვარს უნდა გწამდეს ბოლომდე,
და თუ გძულს უნდა გძულდეს ბოლომდე,
ჭეშმარიტება იწამე ერთი;
შუა ხიდზე დგომა ღალატია
კაცის ან ღმერთის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოია ვოსკრესენსკაია

ზოია ვოსკრესენსკაიას წიგნი „გოგონა ბობოქარ ზღვაში“ ეძღვნება საბჭოთა პიონერ გოგონას — ანტოშკას. მას სინამდვილეში ანტონინა (ტონია) ჰქვია, რადგან გოგონას მამას გულით უნდოდა ვაჟი გასჩენოდა, გოგონას ანტოშკა დაარქვა.

1940 წელს ანტოშკას მამა შვედეთში გაგზავნეს სამუშაოდ. მშობლებთან ერთად ანტოშკაც საზღვარგარეთ მიემგზავრება. ბევრი რამ გადახდება გოგონას ომის პერიოდში, ყველაფერს გმირულად გადაიტანს, ისე როგორც საბჭოთა პიონერს შეჰფერის.

გთავაზობთ ნაწყვეტს მოთხრობიდან.

# ინგლისში

ნაწყვეტი მოთხრობიდან „გოგონა ბობოქარ ზღვაში“

მხატვარი ლ. შენგელია

ელიზავეტა კარპოვნა კაბინეტიდან კონსულის თანხლებით გამოვიდა.

— აი, ჩემი ქალიშვილი, — თქვა მან.

— ძალიან სასიამოვნოა. — კონსულმა ანტოშკას ხელი გაუწოდა. — მშვიდობით ცურვას გისურვებთ. ვეცდები თქვენი მეუღლე მოვძებნო, რომ მურმანსკში დაგხვდეთ.

— გმადლობთ. ახლა კი გემის კაპიტანთან წავალთ, — თქვა ელიზავეტა კარპოვნამ.

— ორივეს წასვლა არა ღირს, — შენიშნა კონსულმა. — მარტო წადით, ვიქტორი კი გოგონას ლონდონს დაათვალიერებინებს. ვინ იცის, როდის მოუწევს კიდევ ჩამოსვლა...

— გინდათ ლონდონის დათვალიერება? — ჰკითხა ვიქტორმა ანტოშკას.

— რა თქმა უნდა.

— რა ვნახოთ? — ჰკითხა ვიქტორმა, როცა ქუჩაში გავიდნენ.

— თქვენ თვითონ გადაწყვიტეთ.

— ჰაიდ-პარკში წავიდეთ.

— ჩვენ იქ უკვე ვიყავით.

— მაშინ ჰაიგეთის სასაფლაოზე, კარლ მარქსის საფლავზე.

ანტოშკა სიხარულით დათანხმდა. ისინი ომნიბუსის მეორე სართულზე ავიდნენ. ვიქტორმა თქვა:

— საპარიკმახეროს ხედავთ? იქ ქალებს წინდებს უკეთებენ.

— საპარიკმახეროში რატომ? — გაიცდა ანტოშკა.

— იმიტომ, რომ ინგლისში წინდები არ იშოვნება და. ქალებმა პარლამენტს მიმართეს თხოვნით: სამსახურში უწინდოდ სიარულის ნება დაგვრთეთო. პარლამენტს ჯერ ეს საკითხი არ გადაუწყვეტია. ამიტომ საპარიკმახეროში ქალებს ფეხებზე უხატავენ ნაკერებს, ქუსლებს, ამოკემსილ ადგილებსაც კი, ვითომ წინდები აცვიათ და ისე დადიან.

ანტოშკამ უნდობლად აიჩეჩა მხრები.

— პარლამენტი აქ რა შუაშია?

— ო, ამას წინათ პარლამენტში ასეთი საკითხი შეიტანეს: ავიაციის ოფიცრებსაც შეუძლიათ ჩიბუხის მოწევა, თუ ეს მარტო საზღვაო ოფიცრების პრიორიტეტად ჩავთვალოთო.

ანტოშკა გაბრაზდა:

— როცა ანეგდოტებს ჰყვებით, გამაფრთხილეთ, თორემ ვერ ვხვდები.

— პატიოსან სიტყვას გაძლევთ, არ ვხუმრობ. აი, ჩვენ ახლა რიჩარდ ლომგულის ქანდაკებას ჩავუვლით. ხომ გახსოვთ ისტორიიდან?

ანტოშკამ მხრები აიჩეჩა.

— ჩვენ ეს სკოლაში არ გვისწავლია, მაგრამ მგონი ქანდაკება მინახავს, ცხენზე ზის არა?

— დიახ. ეს ყველაზე მოჩხუბარი მეფე იყო. მან ინგლისი დააქცია თავისი გაუთავებელი ომებით, თვითონ კი მთელი სიცოცხლე საზღვარგარეთ გაატარა. ხომ ხედავთ, დაშნა გადატეხილი აქვს. ჭურვის ნამსხვრევი მოხვდა. ჰოდა, პარლამენტში განიხილეს საკითხი: აღედგინათ დაშნა, თუ ასე გადატეხილი დაეტოვებინათ შთამომავლობის ჭკუის სასწავლებლად.

— მერე რა გადაწყვიტეს?

— ჩემის აზრით, გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღიათ.

— პარლამენტს მეტი საქმე არა აქვს?

— რას ამბობთ. უამრავ საკითხს იხილავს და ხშირად კამათი მუშტი-კრივით მთავრდება. ინგლისელებს ბევრი უცნაურობა ახასიათებთ, აქვთ ჩვენთვის გაუგებარი ტრადიციები, რომელთა დათმობაც არა სურთ. მაგალითად, ვიდრე პარლამენტის ახალი შემადგენლობის სესიას გახსნიდნენ, დეპუტატები, ანთებული სანთლებით ხელში, პარლამენტის სარდაფში ჩადიან. ოდესღაც, რამდენიმე საუკუნის წინათ პარლამენტი დაიწვა. ხანძარი საიდანღაც ქვემოდან გაჩნდა და, ახლა, ჩვეულებად იქცა, სესიის დაწყების წინ სარდაფების დათვალიერება. დისკუსიები კი პარლამენტში ძალზე თანამედროვეა. ყველაზე უფრო ახლა მეორე ფრონტის გამო კამათობენ.

— ხომ ვერ ამიხსნით, რატომ არ ხსნიან ინგლისელები მეორე ფრონტს? მათთვისაც ხომ სასარგებლოა ომის მალე დამთავრება? გადასულიყვნენ ევროპაში, გერმანელები ორ ფრონტზე დაიწყებდნენ ბრძოლას, ჩვენ აღმოსავლეთიდან დავარტყამდით, ინგლისე-




ლები — დასავლეთიდან და ომიც დიდიხნის დამთავრებული იქნებოდა. ჩერჩილი ხომ გვპირდებოდა. თითქოს ყველაფერი ისე მარტივი და ნათელი იყო, თვითონ კი აჭიანურებენ და აჭიანურებენ... — წარმოთქვა სასოწარკვეთილმა ანტოშკამ.

ვიქტორს გაეღიმა.

— მე დიპლომატი არა ვარ, მაგრამ, ცხადია, ეს საკითხი რომ ხალხისთვის მიენდოთ გადასაწყვეტად, მეორე ფრონტი დიდიხნის გახსნილი იქნებოდა. ინგლისელი კაპიტალისტებისათვის კი სასარგებლოა, რომ ჩვენც და გერმანელებსაც ძალ-ღონე გამოგვეცალოს. მაშინ ისინი გახდებიან მდგომარეობის ბატონ-პატრონები და ევროპასაც ჩაიჯიბავენ

— ვერ მივართვით! — ავტორიტეტულად დაასკვნა ანტოშკამ.

მეორე ომნიბუსზე გადასხდნენ.

გაიარეს ლონდონის აღმოსავლეთი რაიონი — ისტენდი.

ანტოშკა გააოცა კვარტალების სილატაკემ, ვიწრო ქუჩებმა, სადაც გარდი-გარდმო გაბმულ თოკებზე თეთრეული შრებოდა. ქუჩებში მღვრიე წყლის ნაკადი მიედინებოდა. ჩამოძონძილი, ჭუჭყიანი ბავშვები მტვერში ფუსფუსებდნენ. არც ერთი ხე, არც ერთი მწვანე ბუჩქი არ ჩანდა. ნანგრევებს დაბალი ნაცრისფერი სახლები ენაცვლებოდა.

ყვითელი, მყრალი ჰაერი სულ უფრო სქელდებოდა, ათი-ოცი მეტრის იქით უკვე აღარაფერი ჩანდა.

— საიდან მოდის ეს ყვითელი კვამლი? — იკითხა ანტოშკამ.

— ეს ყვითელი ნისლია, — აუხსნა ვიქტორმა, — ინგლისში ნახავთ ყვითელ, ლურჯ, ლილისფერ, თეთრ ნისლს — იმისდა მიხედვით, საიდან ჰქრის ქარი. თუ ქიმიური ქარხნის მხრიდან უბერავს, ყვითელი ნისლია, თუ ზღვის მხრიდან, — თეთრი, მეტალურგიული ქარხნების ბოლი ნისლს შავად ღებავს. ლონდონის ნისლი ცნობილია. თეთრ ნისლს სმოკს ეძახიან, ფერადს კი — სმოგს.

სასაფლაოს ჭიშკართან მოხუცი ქალები და ბიჭები იის კონებს, ჭრელ-ჭრელ ანემონებსა და დიდრონ წითელ მიხაკებს ჰყიდდნენ.

ვიქტორმა ორი იის კონა იყიდა და ერთი ანტოშკას გაუწოდა.

— ეს კარლ მარქსის საფლავზე დადეთ.

ჰაიგეთის სასაფლაო დიდ ქალაქსა ჰგავდა. აქ იყო განიერი პროსპექტები, ქუჩები, შესახვევები, ჩიხები. ცენტრალურ პროსპექტზე იდგა მძიმე გრანიტის აკლდამები, მარმარილოს სამლოცველოები, ბასრფრთიანი ანგელოზები და გარდაცვლილთა მარმარილოსაგან გამოთლილი ქანდაკებები. ყველანი თავიანთ დიდებულებაში გაქვავებულიყვნენ. ანტოშკას ცივად შესცქეროდნენ მარმარილოს თვალები, გეგონებოდათ, ამ ადამიანებმა სიცოცხლეშიც არ იცოდნენ რა იყო ღიმილი, სიხარული, და მხოლოდ იმისთვის ცხოვრობდნენ, რომ ამ ქვის ქანდაკებებად ქცეულიყვნენ.

ცენტრალური პროსპექტიდან მარჯვნივ შეუხვიეს და აღმართს აუყვნენ.

— მე აქ მხოლოდ ერთხელ ვიყავი, — უთხრა ვიქტორმა ანტოშკას, — და ზუსტად არც მახსოვს, სად იყო ის საფლავი.

ანტოშკას ეგონა, კარლ მარქსის საფლავი სასაფლაოს ცენტრში იქნებოდა და ისიც აუცილებლად შემაღლებულ ადგილზე.

ვიქტორმა დახმარებისათვის გვერდით მიმავალ მოხუც კაცს მიმართა.

მოხუცი შეჩერდა, ჯოხს დაეყრდნო და ყურადღებით შეხედა ახალგაზრდა კაცს.

— ყმაწვილო, კარლ მარქსი დიდი ადამიანი იყო, იგი უბრალო ადამიანებისათვის ცხოვრობდა და მათთან ერთად არის დაკრძალული. თქვენ კი მას ლორდებს შორის ეძებთ. პირდაპირ წადით და მარჯვნივ შეუხვიეთ, — ჯოხით აჩვენა მოხუცმა გზა.

ერთმანეთზე მჭიდროდ მიწყობილ მარმარილოსა და გრანიტის პატარ-პატარა ფილების გრძელ მწკრივში, ვიქტორმა, როგორც იქნა, მოძებნა კარლ მარქსის საფლავი. გრანიტის ნაცრისფერ დაფაზე ამოკვეთილი იყო:

**აქ განისვენებს ჟენი მარქსი 1814-1881 წ.**
**კარლ მარქსი. 5. 5. 18-14.3. 83 წ.**
**ანრი ლონგე**
**ელენა დემუტი...**

არავითარი ძეგლი, არავითარი ფუფუნება ვარდები. ყვითელი ხრეშის ჩარჩოში მოჩანდა ნაცრისფერი ფილა, ზედ მუხის შარშანდელი გამხმარი ფოთოლი იდო.

ვიქტორმა ფილაზე იების კონა დადო, ანტოშკამ კი კონა გახსნა და ყვავილები საფლავზე მოაბნია.

— შეიძლება სახსოვრად წავიღო? — ანტოშკამ მუხის ფოთოლი ხელის გულზე დაიდო და გაასწორა.

— რა თქმა უნდა.

უძრავ მუხას დიადი საფლავის თავზე გაეშალა თავისი ძლიერი, ძარღვიანი ტოტები, რომლებსაც ჯერ კიდევ გაუშლელი კვირტები წაბლისფერ წვეთებად ეყარა. მუხის ქვეშ იდგნენ საბჭოების ქვეყნის კომკავშირელი და პიონერი, ორივე მდუმარედ, ორივე განცვიფრებული; ცდილობდნენ ჩასწვდომოდნენ დროისა და მოვლენების კავშირს. უცებ, შორეული და რეალურ სახეს მოკლებული მოხუცის ნაცვლად, რომელსაც ფაფუკი წვერი, ჭაბუკური თვალები და მოაზროვნე შუბლი ჰქონდა, თვალწინ წარმოუდგათ ახლობელი და ცოცხალი მარქსი. 1881 წელს ის აქ უხმოდ ტიროდა თავისი მეგობრისა და საყვარელი მეუღლის — ჟენის ახლადგაჭრილ საფლავზე. 1883 წლის მარტში აქ ფრიდრიხ ენგელსმა კარლ მარქსის ღია საფლავთან წარმოთქვა წინასწარმეტყველური სიტყვები: „მისი სახელი და საქმე საუკუნეებში იცოცხლებს“. აქ მარხია მარქსის შვილიშვილი და მარქსის ოჯახის მსახური ქალი.

ანტოშკა პირველად მიხვდა, რომ ამ კეთილმა და ბრძენმა ადამიანმა, ოდესღაც, წინასწარ გადაწყვიტა მისი ბედიც, — პატარა მოსკოველი გოგონას ბედი.

ორმოცი წლის წინათ ვლადიმერ ლენინი პარტიის მეორე ყრილობის დელეგატებთან ერთად მდუმარედ იდგა ამ საფლავთან, თითქოს ესტაფეტას ღებულობდა დიდი მასწავლებლისაგან. ლენინი ხშირად ყოფილა აქ ნადეჟდა კონსტანტინოვნასა და მებრძოლ მეგობრებთან ერთად. მისი თითებიც შეხებია ამ ნაცრისფერ ქვას, მასაც მოუბნევია ზედ ცოცხალი ყვავილები.

ახლა კი იდგნენ პირველი და, ჯერჯერობით ერთადერთი, სოციალისტური სახელმწიფოს კომკავშირელი და პიონერი და ისინიც იღებდნენ ბრძოლისა და ერთგულების ესტაფეტას.

პატარა, • ფორებიანი ნაცრისფერი ქვა. ასეთ ქვებს ათასობით ნახავდით ჰაიგეთის მჭიდრო სასაფლაოზე. ამ ქვასთან, მრავალრიცხოვან ბილიკთაგან, ერთი ბილიკი მიდიოდა, მაგრამ ის სხვებზე ღრმა და ჩატკეპნილი იყო ათასობით ფეხისაგან.

ღრმა პატივისცემისა და მადლიერების გრძნობით აღსავსე ათასობით ადამიანის ხელის შეხებისაგან ნაცრისფერი ქვა საგანგებოდ გაპრიალებულს ჰგავდა.

ვიქტორმა თავი ასწია.

— წავიდეთ? — ჩუმად იკითხა მან.

— წავიდეთ, — ჩურჩულით თქვა ანტოშკამ.

გოგონა ცდილობდა სიჩუმე არ დაერღვია, ფრთხილად მიაბიჯებდა ხრეშზე. სწორედ ამ ბილიკით მოდიოდა ენგელსი, მოდიოდა ვლადიმერ ლენინი და ახლა — ის, საბჭოთა გოგონა ანტოშკა.

მოსახვევში უკან მოიხედა, რომ კარგად დაეხსომებია ის ერთადერთი და განუმეორებელი პატარა ქვის ფილა.

სასაფლაოზე სასიამოვნო სიჩუმე სუფევდა, მხოლოდ ხრეში ხმაურობდა ფეხქვეშ.

— წარმოგიდგენიათ, — თითქოს თავის ფიქრს ხმამაღლა განაგრძობსო, — თქვა ვიქტორმა, როცა სასაფლაოდან გამოვიდნენ, — კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი ინგლისის სამეფოში ცხოვრობდნენ, მუშაობდნენ და შექმნეს „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“. აქ, ლონდონში, მეორე ყრილობაზე ლენინმა დააარსა პარტია, პარტია, რომელზეც მარქსი ოცნებობდა; ამ ქალაქში, ძმობის ეკლესიაში, ლენინმა დაიცვა ბოლშევიზმი.

— როგორ მინდა იმ ეკლესიის ნახვა, — გაუბედავად გამოტყდა ანტოშკა. — წავიდეთ იქ...

ძმობის ეკლესია, რომელშიც ყველაზე მეტი ხალხი დადიოდა, ლონდონის განაპირას იდგა. იგი მუდამ სავსე იყო ათეისტებით, ადამიანებით, რომლებსაც ღმერთი არ სწამდათ.

ეკლესიაში გრილოდა. ნახევრადმომრგვალებულ თაღქვეშ რამდენიმე მწკრივად იდგა სკამები, არავითარი მორთულობა, არავითარი სამკაულები არ ჩანდა, არც ჯვარცმული ქრისტე იყო, არც ხატები და არც ლამპები. ეკლესია პატარა სტუდენტურ აუდიტორიას ჰგავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— 1907 წლის ივნისში ამ ეკლესიაში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეხუთე ყრილობა მუშაობდა, — უხსნიდა ხალხს ექსკურსიის მძღოლი.

ანტოშკა უსმენდა და მის თვალწინ წარსულის სურათები ცოცხლდებოდა: აგერ, ამ შენობაში შემოდის ბეჭებში ოდნავ მოხრილი გორკი, სახეზე ბედნიერების შუქი მოჰფენია. იგი ყრილობაზე მიწვეულია როგორც ბოლშევიკი, სათათბირო ხმის უფლებით. გორკი თვალებით ეძებს ლენინს. „ძალიან, ძალიან მოხარული • ვარ, რომ ჩამობრძანდით“, — ისმის ლენინის ენერგიული ხმა. ყრილობაზე სამას ორმოცდაორი დელეგატი ჩამოვიდა რუსეთის ყოველი კუთხიდან. რუსეთში შავი რეაქცია მძვინვარებდა, ცარიზმი მკაცრად უსწორდებოდა ხალხს ცხრაასხუთი წლის რევოლუციის გამო.

დელეგატები ლონდონის ქუჩებში დაბიჯებდნენ გვერდზე შესაკრავ ხალათებში, ჩექმებსა და ქალამნებშიც კი; ზოგს კეპი ეხურა, ზოგსაც კავკასიური ფაფახი, რითაც ლონდონის მკვიდრთა ყურადღებას იქცევდნენ. ისინი მოდიოდნენ აქ, ამ ეკლესიაში, რათა გადაეწყვიტათ საკითხი: უნდა მომხდარიყო თუ არა პროლეტარული რევოლუცია რუსეთში. აქ ცხარედ კამათობდნენ, იქნებოდა პროლეტარიატი რევოლუციის ხელმძღვანელი, თუ მენშევიკების მოთხოვნის თანახმად ბურჟუაზიის მსახურად წავიდოდა?.. ლენინი ბევრჯერ გამოსულა და ტრიბუნიდან მარქსის მოძღვრება დაუცავს. ბოლშევიკური პარტიისათვის გაფთრებული ბრძოლა იყო გაჩაღებული.

ყრილობა გაგრძელდა. კამათი გაცხოველდა. პარტიულ სალაროში ფული ილეოდა, დელეგატები შიმშილობდნენ. იყო შემთხვევები, როცა დარბაზიდან შიმშილისაგან გულწასული ადამიანები გაჰყავდათ. ბოლშევიკებმა მიზნად დაისახეს ბრძოლა მოეგოთ. რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, ფული უნდა ეშოვნათ. ყრილობამ ეს საქმე მაქსიმ გორკის დაავალა. მას საკუთარი ფული არ ჰქონდა, მძიმე ლიტერატურულ შრომაში აღებული ჰონორარის უმეტესი ნაწილი პარტიის სალაროში შეჰქონდა.

ძმობის ეკლესიის მფარველი, საპნის სახარში ფაბრიკის მეპატრონე — ფელზი დათანხმდა პარტიისათვის სესხად 1.700 ფუნტი სტერლინგი მიეცა, მაგრამ გირაო მოითხოვა. რა გირაო უნდა მიეცა კაპიტალისტებისათვის პროლეტარულ პარტიას, ყველაზე დაბეჩავებული კლასის პარტიას, რევოლუციონერებს, როცა ყველა მათგანს უკვე მეფის თვითმპყრობელობის სასჯელი ჰქონდა დადებული? ფაბრიკის მეპატრონემ გაუგონარი რამე მოითხოვა: 1.700 ფუნტი სტერლინგის გირაოდ ყრილობის ყველა დელეგატის თავდებობა. თითოეულ დელეგატს ხელი უნდა მოეწერა სესხის ვალდებულებაზე და აღენიშნა, საიდან იყო ჩამოსული და რომელი ორგანიზაციის დელეგატად ითვლებოდა. ყრილობის მუშაობის გაგრძელება ამ ფულზე იყო დამოკიდებული, რუსეთში რევოლუციური მოძრაობის ბედი კი — ყრილობის გადაწყვეტილებაზე.

და გორკიმ ხელი მოაწერა ვალდებულებას. ასევე მისცა გირაოდ თავისი თავისუფლება ფაბრიკის მეპატრონეს ლენინმა და ყველა დელეგატმა. ვლადიმერ ილიჩი ყრილობის შემდეგ რუსეთში უნდა დაბრუნებულიყო, სადაც უკვე გამოცხადებული იყო ბრძანება მის ძებნასა და სამართალში გადაცემაზე.

„არ გადაიხდით ვადაზე და სესხის ვალდებულებას გამოვაქვეყნებო“ — გააფრთხილა „სათნო“ ფაბრიკანტმა ისინი. ესე იგი, თუ არ გადაიხდით, თავს კატორღაში ამოგაყოფინებთო.

პარტიამ ვერ შესძლო ფულის ვადაზე გადახდა. ფელზი იმუქრებოდა. ლენინი ლონდონელ ამხანაგებს სთხოვდა, დაერწმუნებინათ ფაბრიკანტი, მოეთმინა, პარტია ვალს გადაიხდიდა. ლენინმა თავისი სიტყვა შეასრულა: პროლეტარული რევოლუციის შემდეგ ლონდონში გაგზავნეს დელეგაცია, რომელმაც საპნის მხარშავს ვალი სრულად აუნაზღაურა...

...ხალხი სულგანაბული უსმენდა და როცა ექსკურსიის მძღოლმა ლაპარაკი დაასრულა, ადგილებიდან რეპლიკები გაისმა:

— დიახ, რუსი კომუნისტები ყოველთვის ასრულებენ თავიანთ სიტყვას... ვალი აიღეს კაპიტალისტებისაგან, რომ პროლეტარიატის წინაშე მოეხადათ თავიანთი ვალი... ახლა მთელი მსოფლიო რუსეთის ვალშია და ვერც ვერასოდეს გადაიხდის ამ ვალს.

თარგმნა ნინო თოფჩიშვილმა

# ჩემი შვილი ჩემი სიხა-რული



გმირი დედები: მარიამ ფრიდონაშვილი (მარჯვნივ) და მარიამ პარკაული

**80 წლის წინათ (1944) სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაწესდა საპატიო წოდება — „გმირი დედა", ორდენი — „სახელოვანი დედა" და „დედობის მედალი".**

მათ უკვე შეასრულეს თავიანთი ვალი ქვეყნის წინაშე, დაზარდეს შვილები, ასწავლეს, შრომა შეაყვარეს, დააოჯახეს. ახლა ხანდაზმული მეზობლები სიამოვნებით იგონებენ ახალგაზრდობას, ძველ ჯანსა და შრომის უნარს. თუმც ორივენი ჯერ კიდევ ყოჩაღად გრძნობენ თავს და საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობას ეწევიან.

საგურამოში ყველა იცნობს მათ — მარიამ ფრიდონაშვილს და მარიამ პარკაულს. მარიამ ფრიდონაშვილმა 12 შვილი აღზარდა; ბევრი გაჭირვება და სიხარული ნახა მათ გაზრდაში — შინ ბავშვებს უვლიდა, გარეთ კი კოლმეურნეობის საქონელს მწყემსავდნენ ის და მისი ქმარი.

— ბავშვებს რომ საჭმელი არ მოკლებოდათ, — იგონებს მარიამი,— ხშირად საგურამოდან ერწოში ნათესავთან ფეხით გადავსულვარ და გადმოვსულვარ, მომიტანია სიმინდი თუ ხორბალი, მაშინვე დამიფქვავს და გამომიცხვია. არ ვანებივრებდი შვილებს, ვაჩვევდი სიცივესა და სიცხის ატანას და ალბათ ამიტომაც იშვიათად ავადმყოფობდნენ.

12 შვილმა 42 შვილიშვილი და 11 შვილთაშვილი შესძინა მარიამ ფრიდონაშვილს.

მის მეზობელს მარიამ პარკაულს 10 შვილი და 28 შვილიშვილი ჰყავს, იგი მზრუნველი დედაა. ყოველთვის წესრიგში ჰქონდა ოჯახი, არასოდეს უყურადღებოდ არ სტოვებდა პატარებს.

— ბავშვებს ყოველთვის ვადევნებდი თვალს, რომ ცუდი ჩვევები არ განვითარებოდათ, არ ყოფილიყვნენ ეგოისტები, შურიანები. მოთმინებით, წყნარად ვუხსნიდი ყველაფერს. ახლა, როცა ვხედავ, რომ ჩემი შვილები შრომისმოყვარენი და კარგი ოჯახის პატრონები არიან, ვხარობ, რომ ჩემს შრომას ამაოდ არ ჩაუვლია, — ამბობს მარიამ პარკაული.

ორივე მარიამი გმირი დედაა. ისინი სამართლიანად საყვედურობენ ქალებს, რომლებიც მხოლოდ ერთი ან ორი შვილის აღზრდით კმაყოფილდებიან.



# სიმღერა სიცოცხლეა

მისი სიმღერის სიყვარულმა გამაბედვინა მეკისრა ახალი როლი ჩემი სცენური სახეების გალერეაში, ეს იყო ჟურნალისტის როლი. დავიწყე ფიქრი, როგორ გამეხსნა ეს ახალი სახე.

ტრადიციულ ტელეფონს მაინც ვერ ავუარე გვერდი; ნომერი ავკრიფე,

— ქალბატონ ჩიტოლიას სთხოვეთ.

— მე გახლავართ, — მიპასუხა ნაცნობი ხმით. შემდეგ საყვედურით მითხრა: — სად ხარ ამდენ ხანს, მოგწყინდა ალბათ „ბებერთან“ საუბარი.

გამეცინა, — ჩიტოლია და სიბერე?

გაზაფხულის ყვავილებით მივდივარ მასთან, ლენინის ქუჩა № 13-ში. აქ ცხოვრობს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ნინო (ჩიტოლია) ჩხეიძე.

— ქალბატონო ჩიტოლია, ეს თქვენ! — ვეუბნები და აყვავებულ ტოტებს ვაწვდი.

— გმადლობ, შვილო! ყვავილები ძალიან მიყვარს, მაგრამ თქვენ, ახალგაზრდებს უფრო გიხდებათ. — მერე ტოტებს ლარნაკში აწყობს და ეშმაკური ღიმილით აგრძელებს: — მართლა არ იფიქროთ. ისე არ დავბერდი, რომ ზოგიერთ ახალგაზრდას კიდევ არ ვაჯობო.

ეს უკვე მისი ხასიათია. და მან არც კი იცის, ისე გამოდის ახლა ჩემს ჩაფიქრებულ სპექტაკლში სცენაზე, გამოდის საკუთარი გიტარით. თავპატიჟი არ დაუწყია, ისე დაამღერა გიტარაზე.

— შენ რატომ არ მღერი, რატომ არ ამყევი? — მითხრა სიმღერის დამთავრებისთანავე.

მიამიტი ღიმილით ვუპასუხე: — დღეს სწორედ იმიტომ მოვედი, რომელიმე ძველებური რომანსი მასწავლოთ-მეთქი (არც კი იცის, მასზე რომ უნდა დავწერო).

— კი, შვილო, რომელი სიმღერა მოგწონს? ოცდაათამდე ძველებურ რომანს ვმღერი. გამიგონია უარის თქმა? მეც ხომ ბევრი რომანსი ცნობილი შემსრულებლებისაგან ვისწავლე, ზოგი პირადად მათგან, ზოგი გრამჩანაწერებიდან. თამარ წერეთელი, ქეთო ჯაფარიძე, იზაბელა იურევა, ანტონინა ერემეევა, ვარია პანინა... აი, ესენი იყვნენ ჩემი მასწავლებლები.

ერთხანს ჩაფიქრდა, მერე რაღაც სევდიანად თქვა:

— ძველი რომანსები არ უნდა დაიკარგოს. უნდა იმღეროთ, შვილო. სიმღერა მხნეობას მატებს ადამიანს, სიმღერა მეორე სიცოცხლეა.

მერე ისევ გიტარა აიღო ხელში.

იმ საღამოს ლენინის ქუჩაზე, ერთ პატარა ბინაში ერთმანეთს ცვლიდა: «Снежинка» „ჩაის ვარდი“, «Караван», «Калитка» „შენ ეს გინდოდა“, „არავის უთხრა“...

მღეროდა ისეთი წყურვილით, თითქოს საკრავი დიდიხანია თვალით აღარ უნახავს და ახლა სიმღერით უნდა გული იჯეროსო.

თვალზე ცრემლმომდგარი გადავეხვიე და მადლობასთან ერთად ვკითხე — ხომ არ დაიღალეთ-მეთქი.

— სიმღერა როგორ დამღლის? ის კი არა, დილამდე ვიმღერებდი, მედეა გონგლიაშვილი რომ მყავდეს აქ!

რაკი ჩემი მისვლის ნამდვილი მიზეზი არ იცოდა, ბევრი კითხვა არც მიმიცია. ვფიქრობ, მართალი ვარ: მისი ბიოგრაფია, ეს მისი სიმღერის ბიოგრაფიაა. რასაკვირველია, იგი ბავშვობიდანვე იყო გატაცებული სიმღერით. მისი ხმა რამდენიმე ცნობილმა მუსიკის სპეციალისტმა მოისმინა და დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა. ერთხანს ევგენი ვრონსკისთან ამუშავებდა ხმას, მაგრამ...

— მაგრამ ოჯახი. საქმე. ცხოვრება...

და მაინც დიდი სცენის გარეშე [illegible] პოპულარული მისი ხმა, მისი გულისხმიერი შესრულება ქართული თუ რუსული რომანსებისა. მის პოპულარობას ხელი შეუწყო ქართულმა ეკრანმაც.

— რომელ ფილმებში მონაწილეობდით, ქალბატონო ჩიტოლია?

— ეჰ, რა ვიცი, დედიკო, იმდენში.

მართლაც, იგი მონაწილეობს ყველა ფილმში, სადაც სიმღერაა საჭირო:

„ბედნიერი შეხვედრა“, „დაკარგული სამოთხე“, „ნარინჯის ველი“, „მეგობრობა“, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, „ჭირვეული მეზობლები“, „მოლოდინი“, „შეხვედრა მთაში“, „უდიპლომო სასიძო“...

იგი გატაცებით იგონებს განსახიერებულ სახეებს, და ვერ ხვდება, რომ მეც ახლა, ამ წუთში, ჩემს ახალ როლს ვანსახიერებ.

ვგრძნობ ფინალური სცენა ახლოვდება:

— დაგღალეთ, უკვე გვიანაა.

— სიმღერა, სიმღერა რომ არ გისწავლია? ლაპარაკს შევყევით და დაგვავიწყდა!

— არა უშავს, თქვენ რომ ძალიან არ შეგაწუხოთ, ჯერ თქვენი სიმღერის ფონოგრაფებს მოვისმენ და...

ჩიტოლია მაჩერებს:

— ტყუილად ნუ შეწუხდები, ჩემი სიმღერის არც ერთი ჩანაწერი არ არსებობს. სიმღერის დროს ჭირივით მძულდა მიკროფონი — და აი... თუმცა, ახლა, სიამოვნებით დავდებ ზავს მასთან. მხოლოდდამხოლოდ ისევ სიმღერის სიყვარულის გამო.

ერთხელ კიდევ დავემშვიდობე, თუმცა სინანული აღმეძრა — გამახსენდა ამას წინათ ცენტრალური ტელევიზიისათვის მომზადებული გადაცემა: „ძველებური რუსული რომანსის საღამო“. საიდან არ მივიღეთ მადლობის წერილები, სადაც განსაკუთრებული აღფრთოვანებით ჩიტოლია ჩხეიძეზე წერდნენ.

დიახ, დასანანია, რომ დღეს, როდესაც ამდენი ტექნიკური საშუალება გაგვაჩნია, ჩიტოლია ჩხეიძის ხმა არ შევუნახოთ შთამომავლობას, არ შევუნახოთ მის მიერ ასე შთამაგონებლად შესრულებული, უბერებელი ძველებური რომანსები... ამას ვფიქრობდი რუსთაველის პროსპექტზე მიმავალი. ვფიქრობდი ჩემს ახალ როლზეც. შევძლებ თუ არა ახალი სახის, — ჟურნალისტის სახის განსახიერებას?

ამას ალბათ პრემიერა გვიჩვენებს, ალბათ რედაქციაში მეტყვიან ამის შესახებ.

„ჩემი არც ერთი სიმღერის...“ — მომდევს ფინალური სცენის გულდამწყვეტი სიტყვები. ვჩერდები და თითქმის ხმამაღლა ვამბობ, ვამბობ დაჟინებით: „აუცილებლად ჩაიწერება, აუცილებლად, თქვენი ყველა სიმღერა“.

სხვანაირად შეუძლებელია — მომავალმა, ახალმა თაობებმაც ხომ უნდა უთხრან მადლობა ქალბატონ ჩიტოლიას?

მადლობა ახალგაზრდული სულისათვის, შთაგონებული სიმღერისათვის.

**ირმა ბურიელი,**

**საქართველოს ტელევიზიის დიქტორი.**

წარსულიდან

# ელისაბედ ჩოლოყაშვილი



1883 წლის გაზაფხულზე თელავის საზოგადოება გაოცებული იყო: ბრწყინვალე თავადის, დავით ჩოლოყაშვილის ლამაზი და განათლებული ასული ელისაბედი ცოლად უბრალო გლეხის შვილს ივანე როსტომაშვილს გაჰყვა. ეს შემთხვევა ცნობილ მოღვაწეს დიმიტრი ყიფიანსაც გაჰკვირვებია და როცა ახალშეუღლებულ წყვილს თბილისში შეხვედრია, გულახდილად უკითხავს ივანესათვის:

— კი მაგრამ, დიდი თავადის ქალი როგორ გამოგყვა უბრალო გლეხის შვილს ცოლად?

— განათლებული გლეხი არ არის უბრალო, ბატონო, — ივანეს ნაცვლად მშვიდად უპასუხა ქალმა.

— მერე და, რითი აპირებთ ეს ნებიერად გაზრდილი ქალი ცხოვრებას? — ჰკითხა კვლავ ცნობისმოყვარე დიმიტრიმ.

— ვიშრომებთ და ისე ვიცხოვრებთ! — მოკლედ მოუჭრა ქალმა.

ელისაბედის პასუხი დიმიტრის მოეწონა, გაიღიმა და ახალშეუღლებულებს ბედნიერი ცხოვრება უსურვა.

ივანე როსტომაშვილი თავს ბედნიერად გრძნობდა, რომ ბედმა თუ გარემოებამ ცხოვრების თანამგზავრად არგუნა შესანიშნავი მეუღლე, უერთგულესი მეგობარი. მათ უანგარო, სპეტაკ სიყვარულს ჩრდილი არასოდეს მიჰკარებია. ელისაბედთან ყოფნა ხალისსა და ძალას მატებდა ივანეს. ხოლო როცა სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი საქმის გამო შორს უხდებოდა წასვლა, წერილებით ეხმატკბილებოდა ელისაბედს. მისი წერილი თითქმის ყოველთვის ასე იწყებოდა: „სულზე უტკბესო ლიზავ!".

ელ. ჩოლოყაშვილს წარმატებით ჰქონდა დამთავრებული თელავის წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელი, გატაცებით კითხულობდა ქართულ და რუსულ ლიტერატურას, აქტიურად მონაწილეობდა საქველმოქმედო საქმიანობაში, ეხმარებოდა ღარიბებს. ელისაბედმა ილია ჭავჭავაძის დავალებით „ივერიისათვის" ორასამდე ხალხური ანდაზა და თქმულება შეაგროვა, რითაც დიდი მწერლის მადლობა დაიმსახურა.

ელისაბედმა და ივანემ ქორწინების პირველ წელსვე, მართალია დიდი წვალებით, მაგრამ მაინც შეძლეს თელავში გლეხ ქალთა პირველი სკოლის დაარსება. სკოლის გამგედ ელ. ჩოლოყაშვილი ითვლებოდა და იგი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ გლეხის შვილებს განათლება მიეღოთ.

სამწუხაროდ, მთავრობის მოხელეების დაჟინებული მოთხოვნით გლეხ ქალთა სკოლა 1887 წელს დაიხურა, მაგრამ ცოდნის ამ პატარა ჩირაღდანმა თავისი მისია ნაწილობრივ მაინც შეასრულა.

ქმრის მეგობრებს ელისაბედი მუდამ ყურადღებით ეპყრობოდა. მან განსაკუთრებით დიდი გულისხმიერება და მზრუნველობა გამოიჩინა მძიმე სენით დაავადებული ალ. ყაზბეგისა და ცხოვრების უკუღმართობით გულმოკლული პოეტის — იოსებ დავითაშვილის მიმართ. შემთხვევითი არ იყო, რომ მომაკვდავმა იოსებმა თავისი პოეტური არქივი ელისაბედს ჩააბარა.

ივ. როსტომაშვილის ოჯახი დიდ ილიას ახლობლად მიაჩნდა და სწორედ ამიტომ თავისი ინგლისელი მეგობრები: მარჯორი და ოლივერ უორდროპები თელავში, ელისაბედთან და ივანესთან გაგზავნა სტუმრად. როსტომაშვილებმა იშვიათი მასპინძლობა გაუწიეს ილიას მეგობრებს. მათი სტუმართმოყვარეობა კეთილმოსაგონრად დარჩათ და-ძმა უორდროპებს.

1905 წლის რევოლუციის ბობოქარ დღეებში როსტომაშვილების ოჯახში უშიშრად იკრიბებოდნენ თავისუფლებისათვის მებრძოლი ადამიანები და ბჭობდნენ ხალხის უკეთეს მომავალზე. ხოლო, როცა მთავრობის მოხელეებმა რევოლუცია სისხლში ჩაახშეს და „დამნაშავეები" საციმბიროდ გაამზადეს, ელისაბედმა შეაგროვა თბილი ტანსაცმელი, მოისყიდა ციხის მცველი და ფარულად შეუგზავნა იგი პატიმრებს.

ივ. როსტომაშვილმა დიდი დახმარება გაუწია მეგობარ ვანო კოლელიშვილს, რომელმაც სიძნელეების მიუხედავად, მშობლიურ სოფელ გულგულაში 1906 წელს კომუნა ჩამოაყალიბა. ელისაბედი იქ ჩავიდა, თან ჩაიტანა თავისი საკერავი მანქანა და რევოლუციური ლიტერატურა. იგი უფასოდ უკერავდა ტანსაცმელს კომუნარებს, ესაუბრებოდა მშრომელთა ერთობის მნიშვნელობის შესახებ.

ხანმოკლე გამოდგა კომუნის ისტორია, ჟანდარმერიამ დაარბია და დაშალა კომუნა. მაგრამ ხანდაზმული გულგულელების ხსოვნაში სიყვარულით მოსაგონარი დარჩა ვ. კოლელიშვილისა და როსტომაშვილების ძვირფასი სახელები.

რევოლუციამდელ საქართველოში მეტად ძნელი იყო მშრომელი ხალხის ცხოვრების ამსახველი ნაწარმოებების გამოქვეყნება. ამ დაბრკოლებას ივანე სძლევდა მეუღლის კუთვნილი ძვირფასი ნივთების დაგირავებით ან გაყიდვით და ჟურნალების დაარსებით.

ჟურნალი „მოგზაურის", შემდეგ გაზეთ „სინათლის" რედაქტორობის დროს ივ. როსტომაშვილი ხშირად ეთათბირებოდა მეუღლეს ამა თუ იმ მასალის გამოქვეყნების თაობაზე და მისი რჩევითა და წინადადებებით წყვეტდა საჭირბოროტო საკითხებს.

1912 წელს გაზეთ „სინათლის" ერთ-ერთ ნომერში ივანემ გამოაქვეყნა მეტად გაბედული წერილი, სათაურით:

„ერთობა ღვთაებაა, პატივი ეცით მას!"

ამ წერილმა ჟანდარმერიის თავდასხმა გამოიწვია, მაშინვე დააპატიმრეს ივანე და ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს. მართალია, ბევრმა ახლობელმა, მწერალმა და მოღვაწემ სცადა განსაცდელისაგან ეხსნათ „სინათლის" რედაქტორი, მაგრამ სასურველ მიზანს ვერ მიაღწიეს. რადგან საქართველოში ივანეს გამოხსნა შეუძლებელი გახდა, ელისაბედი პეტერბურგს გაემგზავრა, ინახულა მთავრობის მოხელეები, სენატამდე მივიდა და შეძლო ქმრისათვის სასჯელის შემსუბუქება: ციმბირში გადასახლების ნაცვლად ივანე საქართველოში დატოვეს პატიმრობაში. ბედად იმ ხანებში აღინიშნა რომანოვების დინასტიის სამასი წლისთავი, მრავალი პატიმარი, მათ შორის ივანეც გაანთავისუფლეს.

ჩვენი ქვეყნის კულტურული საზოგადოებრიობა სიხარულით შეხვდა ივ. როსტომაშვილის განთავისუფლებას. დიდმა აკაკიმ გამოხატა რა მრავალი ქართველის გულისთქმა, ელისაბედს ასე მიულოცა:

— ძვირფასო ლიზავ, შენ გმირი და ღირსეული მანდილოსანი ყოფილხარ, რომ ჩვენი ივანე არა მარტო ოჯახს, საზოგადოებასაც დაუბრუნე, მადლობელი ვარ ამისათვის, დიდი მადლობელი.

როსტომაშვილები სიხარულით შეხვდნენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას და ახალი ძალით შეუდგნენ შრომას.

მათ ქვეყანას აღუზარდეს შესანიშნავი შვილები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს საზოგადოებრივ საქმიანობაში, თეატრალურ ხელოვნებაში, მედიცინაში. როსტომაშვილების ოჯახმა აღზარდა აგრეთვე სიძე — დიდი ქართველი რეჟისორი სანდრო ახმეტელი.

...ივანე და ელისაბედი დიდუბის პანთეონში განისვენებენ. მათი სახელები კი ხალხის გულში ცოცხლობს.

შალვა მარკოზაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# როგორ ვზრდიდი შვილს

ამას წინათ ცოლმა გამომიცხადა: აწი დროა, ვაჟიშვილის აღზრდას შენ მოკიდო ხელიო.

ხომ მოგეხსენებათ, აღზრდა მათემატიკასა ჰგავს: ის, ჯერ ერთი, თვალსაჩინო უნდა იყოს, მერე კიდევ — პრაქტიკული მაგალითებიც უხვად უნდა ახლდეს, მარტო თეორიით ფონს ვერ გახვალ! შეიძლება ბავშვს მთელი კვირის განმავლობაში ეჩიჩინო, რომ 4 + 4 = 8-ს. და, მერე რომ შეეკითხები 4 + 4 რამდენი იქნება-თქო, გიპასუხებს: „ნაპოლეონ ბონაპარტი“. მაგრამ თუ ჰკითხე, რამდენი იქნება ოთხ კანფეტს რომ ოთხი კანფეტი მივუმატო-თქო, იმწამსვე მოგიგებს: „რვა კანფეტი“. არასგზით არ შეცდება.

ასეა აღზრდის საქმეც. მარტო თეორიები ხეირს არც აქ დაგაყრის. ამ დასკვნამდე საკუთარი გამოცდილებით მივედი, როცა ჩემი ვაჟიშვილის აღზრდას მივყავი ხელი.

ერთხელ, საუზმის შემდეგ შვილს მოვუხმე და ვუთხარი:

— გახსოვდეს: სიმართლე ყველაზე ძვირფასი რამ არის ამ ქვეყნად. ჰოდა, რაც არ უნდა შეგემთხვეს, სიმართლე ყველას პირუთვნელად უნდა უთხრა.

ბიჭმა მისმინა, მისმინა და თქვა:

— კარგი, მამა, ყველაფერი გავიგე. მერე, ჩვეულებისამებრ, წიგნებს წამოავლო ხელი, ფანჯარაზე ჩამოკიდებული ფარდით ცხვირი მოიხოცა და სკოლისაკენ გასწია.

ნეტავ გენახათ, რა სანახავი იყო სადილობისას შინ რომ დაბრუნდა; როგორ იყო დაფხაჭნილ-დალურჯებული სახეზეც და ტანზეც. შუბლზეც კარგა მოზრდილი კოპი ესვა. მე ვკითხე:

— რა დაგემართა? ომში ხომ არ იყავი?

— სულ შენი ბრალია, მამა, ყველაფერი, — მიპასუხა ჩემმა ვაჟიშვილმა.

— ჩემი? მითხარი ერთი, ვინ გაგიბედა ხელის ხლება!

— მამა, — გავიგონე პასუხი, — მე ყველაფერს ისე ვაკეთებდი, როგორც შენ დამარიგე: ყველას მხოლოდ სიმართლეს ვეუბნებოდი...

ჰოდა, აი, რა მიამბო:

კიბეებზე რომ ჩადიოდა, ბიჭს ჩვენი კუზიანი მეკარე დაუნახავს — სარკეში თავის თავს გულდასმით ათვალიერებდა. ბიჭი მიესალმა და უთხრა:

— სინიორ კრეპინი, თუ გგონიათ, რომ ე მაგ საზამთროთი, ზურგზე რომ გადევთ, ცხონებულ აპოლონსა ჰგავხართ, ნამდვილად ცდებით. თქვენ მე ცალკუზიან აქლემს უფრო მაგონებთ — მან თურმე ფეხსაცმელი წაიძრო და ისე ხეთქა, რომ ლანჩის ანაბეჭდი მთელი კვირა აგონებდა ჩემს ვაჟიშვილს სიცოცხლეში პირველად ნათქვამ სიმართლეს.

მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა! სკოლაში, არითმეტიკის გაკვეთილზე მასწავლებელმა ბავშვებს ასეთი ამოცანა მისცა: „სოვდაგარმა 372 მეტრი მაუდი იყიდა, მეტრი — 4 ლირად და 12 სანტიმად. შევიდა მის დუქანში მყიდველი და ჰკითხა: რა ღირს მაუდიო. მედუქნემ უპასუხა: „თუ თქვენ 82 მ სიგანისა და 45 მ სიმაღლის სამკუთხედის ფართობს გაამრავლებთ 3,14-ზე, მიიღებთ ფასის 5,8-ს. რა გადაუხდია მყიდველს მაუდში?

ჩემმა შვილმა დაწერა: „კლიენტს არაფერი უყიდია. მან ისე მიბეგვა გამყიდველი, რომ იძულებული გახდნენ, საშველად პოლიციისათვის მოეხმოთ“.

ჩემი შვილის ნაწერი რომ წაიკითხა, მასწავლებელმა ჰკითხა:

— რას ნიშნავს შენი პასუხი?

— ეს იმას ნიშნავს, სენიორ მასწავლებელო, რომ კლიენტმა თქვა: „პატივცემულო, მე თქვენთან ქსოვილის საყიდლად მოვედი, მათემატიკის გამოცდის ჩასაბარებლად კი არა!“.

— ნამდვილი ბრიყვი ხარ, პეპე, — უთხრა მასწავლებელმა.

— არა, — უპასუხა ჩემმა პატიოსანმა შვილმა, — ბრიყვი თქვენ ბრძანდებით და ყველა თქვენი მოსწავლე. — ჰოდა, ორი კარგი ალიყურიც მიიღო.

შემდეგ იტალიური ენის გაკვეთილი ჰქონდათ. მასწავლებელმა ბავშვებს ასეთი თემა მისცა: „პედრიტომ ტყუილი თქვა და სინდისის ქენჯნამ მთელი ღამე თვალი არ მოახუჭვინა. დილით მან დედიკოს წერილი მისწერა და პატიება სთხოვა“.

აი, რა დაწერა ჩემმა შვილმა: „პატივცემულო სენიორ მასწავლებელო! პედრიტო თქვენ ძალიან ცუდად გცნობიათ, ჯერ ერთი, მას ტყუილის გარდა, არასოდეს არაფერი უთქვამს. მერე კიდევ, იმან ისეთი ძილი იცის, რომ ზარბაზანი რომ დაუცალო ყურის ძირში, ვერ გაალვიძებს“.

ჩემს ბიჭს პედრიტომაც კარგად უთავაზა და იტალიურშიც „0“ მიიღო.

გაკვეთილების შემდეგ სკოლიდან მომავალ პეპეს ჩვენი მეზობელი დონა ჰერტრუდა შემოხვდა:

— ოჰ, ჩემო ბიჭუნი! როგორ ეწყინა, ალბათ, დედაშენს, წინა ოთხშაბათს თქვენსა რომ არ მოვედი! — წამოიძახა მან.

— პირიქით, — უპასუხა ჩემმა პატიოსანმა ვაჟიშვილმა, — ძალიან ნასიამოვნები დარჩა. ის კი არა, თქვა: „რა ბედნიერებაა, ის აუტანელი ჰერტრუდა დღეს რომ თავს არ გვაბეზრებს, როგორ უყვარს ყველაფერში ცხვირის ჩაჩრაო“.

ეს რომ დონა ჰერტრუდამ გაიგო, მოიშვლიპა თავისი ვეებერთელა ქუდი და უთაქა და უთაქა ჩემს ვაჟიშვილს.

ერთადერთი კაცი, რომელმაც სიმართლე აუღელვებლად მოისმინა, სანტა მარიას ქუჩის მესაათე იყო. ჩემმა ბიჭმა უთხრა:

— საბრალო! ალბათ, როგორ განიცდით, ცხვირის მაგივრად პომიდორი რომ გაზით!

— გმადლობთ, — უპასუხა მესაათემ, — თქვენები როგორღა არიან?

მერე გავიგეთ: თურმე ის მესაათე ყრუ ყოფილა. ამგვარად, ერთი დღის განმავლობაში ჩემმა ვაჟიშვილმა მიიღო: ხუთი ალიყური, დაუთვლელი მუჯლუგუნი და პანღური, შუბლზე კოპი და ამას პლუს კაცობრიობაში დაკარგული რწმენა.

ასე დამთავრდა ჩემს მიერ შვილის აღზრდის ცდაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოსებ პატარაშვილი

# დაბადების დღე



მხატვარი ნ. მესხიძე

ციხისელების ოჯახში მზიას მისვლამდე სტუმრებს უკვე მოეყარათ თავი. თითქმის ყველანი პროვინციული ქალაქის სამედიცინო პერსონალს ეკუთვნოდნენ. მზია ორიოდე კვირის წინ შეემატა მათ კოლექტივს — მას შემდეგ, რაც ჯანმრთელობის განყოფილებაში ქიმიკოსად დაიწყო მუშაობა.

— ჰო, საკეისრო უფრო სარისკო იყო, მაგრამ ქალმა თვითონ მოითხოვა, — მზიას შესვლისას თქვა საავადმყოფოს მთავარმა გინეკოლოგმა ვანო დარასელმა.

მზია ღიმილით მიესალმა ქალაქის ავტორიტეტულ მედიკებს და დარასელის შეთავაზებულ სკამზე დაჯდა.

— დიმიტრიჩი კიდევ არა ჩანს, არა?! — მთავარი ექიმი იკითხა ვენერა ყორყოლიანმა.

მზიას გაახსენდა, რომ დიმიტრიჩზე და ვენერაზე ჭორები დადიოდა.

შუახანს გადაცილებული, ხორცით სავსე, მაგრამ ლამაზი ქალი იყო ვენერა. მან ტიციანის მაგდალინელი მოაგონა მზიას. შემდეგ კი აღმოაჩინა, რომ მაგდალინელისათვის მხოლოდ ერთი შეხედვით შეიძლებოდა მიემსგავსებინა. მის ნაკვთებში ტკივილის და მონანიების ნასახიც არ იყო. თეთრი ღაბაბი თავის მედიდურად დაჭერისაგან ჩამოზრდოდა. გამობზეკილი ზედა ტუჩი კი ყველაფრისადმი გულგრილობას უსვამდა ხაზს.

— დიმიტრიჩმა დარეკა, მოვდივართო, — თქვა ახლადშემოსულმა ქირურგმა დავით ბეგიშვილმა.

დავითი მზიას გვერდით დაჯდა და უჩურჩულა:

— ყელ-ყურისა და ცხვირის ექიმი ძალიან ჩქარობს სატრფოსთან შეხვედრას.

მზიას გაეღიმა და ძლივს შეიკავა თავი, რომ ვენერასაკენ არ გაეხედა.

— ბატონო ვანო, მგონია ყველანი აქა ვართ, მარტო დიმიტრიჩი და ენით მკურნალი გვაკლია, — საჯაროდ თქვა დათო ბეგიშვილმა.

„ენით მკურნალს“, ხუმრობით, თერაპევტ ავქსენტის ეძახდნენ. ეს ზედმეტი სახელი იმიტომ შეარქვეს, რომ სასიკვდილოდ განწირულ ავადმყოფებს ორ დღეში ფეხზე წამოდგომას „უწინასწარმეტყველებდა“ ხოლმე. ძლივს მოასწრო დათომ სიტყვის დამთავრება, რომ ოთახში ავქსენტი და მისი მეუღლე შემოვიდნენ. დამხვდურთა გამოხედვაზე ავქსენტი მიხვდა, მასზე რაღაცა იყო ნათქვამი. მზერა დათოზე შეაჩერა.

— ვიღაცამ მიკბინა, ხომ?!

დათო თავისმა სიცილმა გასცა.

— დათუნა, შენ არ გიჩანს სუფთა პირი, — თითით დაემუქრა.

— როგორ გეკადრებათ, ავქსენტი ბატონო, ჩვენი საავადმყოფოს მარგალიტი ბრძანდებით, — სკამი დაუთმო დათომ.

ავქსენტი ყველა თანამშრომელს საავადმყოფოს მარგალიტს ეძახდა და დათომაც გამოაჯავრა. ისეთი ზუსტი იმიტაციით თქვა, „ჩვენი საავადმყოფოს მარგალიტი ბრძანდებითო“, რომ ყველაზე ხმამაღლა ავქსენტის გაეცინა.

* * *

მზიამ არც კი იცის, რამდენჯერ დასწრებია ზურაბ ციხისელის მეუღლის — ციცინოს დაბადების დღეს. საშუალო სკოლა ერთად დაამთავრეს. მერე მზია პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობდა, ციცინო — სამედიცინო ინსტიტუტში, მაგრამ ერთიმეორეს არ დაშორებიან. ამ საღამოს უხერხულობას გრძნობდა მზია. ადრე, დაბადების დღეებზე, მხოლოდ თანატოლები იყრიდნენ თავს. ასე იყო შარშანაც. მერე ციცინო გათხოვდა, მუშაობაც დაიწყო. ახლა კი სხვადასხვა ასაკის ადამიანები იკრიბებიან.

ყოველ სტუმარს შეფუთული რაღაც მოჰქონდა. მზიამ კი ტრადიციას არ უღალატა და ისევ მიხაკები მიართვა ციცინოს.

— ვერცხლის კოვზები ან ჩაის სერვიზი უყიდე, — ურჩია დედამ ციხისელებთან წასვლის წინ.

— არა, ყვავილებს მივუტან, — სარკესთან თმას ივარცხნიდა მზია, — განა არა ჯობია?! — თავი შეაბრუნა და გვერდულად მიიხედა სარკეში. წაბლისფერი თმა გამხდარ კისერს უფარავდა. ფერმკრთალ სახეზე ღიმილი უნდა წაესვა, მაგრამ გადაიფიქრა.

— შე საძაგელო, — მოფერებაც იყო დედის ხმაში და გაბრაზე-

ბაც, — ცხოვრება თავისას მოითხოვს. ამის შემდეგ ყვავილების მირთმევით ფონს ვერ გახვალ.

— აბა, აუცილებელია უტილიტარული რაღაც ვუყიდო?! — მზიამ კისერი კეკლუცად წაიგრძელა და ხელი გამოკვეთილ თეძოზე შემოიდო.

— ახლა ლექსიკონები მაძებნინე კიდევ. ცხოვრებას ვერც ერთი ლექსიკონი ვერ შეგასწავლის.

— ძალიან კარგად ვიცნობ ცხოვრებას, — საყელო გაისწორა, მერე პირისფერი ნაქსოვი საკინძე შეიბნია.

— ციცინო, ალბათ, გაისად ველარ გადიხდის დაბადების დღეს.

— რატომ? — მზია ცისფერი, კეთილი თვალებით მიაჩერდა დედას.

— ჩქარა ბავშვი შეეძინება.

— ჰოდა, მერე მისი დაბადების დღეები დაიწყება, არა?!

— ბავშვისთვის კომპლექტი მაინც უყიდე.

მზიამ აღარაფერი უპასუხა. ნაცრისფერი ქურქი ჩაიცვა. სარკესთან ერთხელაც შემოტრიალდა და სახლიდან გავიდა.

ბაზარში ისე მოეწონა თეთრი და წითელი მიხაკები, აზრადაც არ მოსვლია ფული სხვა საჩუქრებისათვის შემოენახა.

* * *

ოთახში ზურაბი შემოვიდა. სტუმრები დარბაზში გაშლილ სუფრასთან მიიწვია.

**მზიას მარჯვნივ დათოს მეუღლე დაჯდა,** მარცხნივ კი ავქსენტი. აქა-იქ დანა-ჩანგალი აწკარუნდა. მაგრამ ეს მხოლოდ ქეიფისათვის შემზადება იყო.

ზურაბი დარბაზიდან გავიდა და შემოსვლას აგვიანებდა, სტუმრები მიხვდნენ — დიმიტრიჩის მოსვლას უცდიდა მასპინძელი.

მზიას ბეგიშვილის მეუღლე — ნანა გამოელაპარაკა.

— მზია, თქვენ კვების ტექნოლოგიური დაამთავრეთ არა?

— დიახ!

— სამუშაოთი კმაყოფილი ხართ?

— როგორ გითხრათ, — შეყოყმანდა მზია, — ძირითადად კი.

სასიამოვნო იყო ნანასთან საუბარი. მის ქცევას სანტიმენტალობის ნასახიც არ ეტყობოდა, მაგრამ ვერც ბრალს დასდებდი, ცივი და მიუკარებელიაო. იგი კარგად აღზრდილი ჩანდა. ციცინოს გადმოცემით იცნობს მზია ამ ქალს, რამდენჯერ უთქვამს, დათოს ეგ რომ არ ჰყავდეს, წყალი წაიღებდაო. თურმე უვარგის კოტეჯში უცხოვრიათ. ბინის სათხოვნელად ცოლს ერთხელაც ვერ გაუგზავნია დათო რაისაბჭოში. ნანას თვითონ აუტალახებია რაიონის ხელმძღვანელთა კაბინეტები. დაპირებები მიუღია. მერე გამორკვეულა, მათზე უკეთეს პირობებში მცხოვრები ოჯახები შეუსახლებიათ ახალ ბინებში. ნანა რაიკომის მდივანს სწვევია და ისეთი რაღაც-რაღაცეები უთქვამს, ბინის ორდერი მაშინვე გამოუწერიათ.

დარასელს ცრუ სერიოზულობით უმტკიცებდა დათო: ამ მაგიდების გადასარჩენად, პროფესიული ალღო მკარნახობს, დროული ქირურგიული ჩარევაა საჭიროო. მთავარმა გინეკოლოგმა მაგიდაზე თითები აათამაშა: მაგ ოპერაციის დაწყება ისეთი ასისტენტის გარეშე, როგორიც დიმიტრიჩია, სახიფათო უნდა იყოსო.

მზიას გასწვრივ ქირურგი გივი მეზვრიშვილი და მისი მეუღლე — ციური ბეთანელი ისხდნენ. გივი თანამეინახეებზე ისეთი მაღალი იყო, გეგონებოდა ფეხზე დგასო. მან ცოლს ხმადაბლა რაღაც გადაულაპარაკა და გაიღიმა. ამ მწითური კაცის ღიმილი მრავალჯერ უნახავს მზიას. მას ხომ, როგორც იტყვიან, სახეზე ნათელი გადასდის. მზიას ძალიან უკვირდა, ამ უშველებელ ვაჟკაცს ბავშვური უშუალობა და გულუბრყვილობა რომ შემორჩენოდა. მის გოლიათურ მხრებს თითქოს უფრო ამაყი და კუშტი თავი უნდა ეტარებინა..

ციური ნუშისებური შავი თვალების ფახულით შეხედავდა ხოლმე მეუღლეს. ისინი ახალდაქორწინებულები იყვნენ, ცდილობდნენ გრძნობის დაფარვას, მაგრამ ვერ ახერხებდნენ.

მზია ღია კარის ჭრილიდან ხედავდა, ზურაბი შუშაბანდში იდგა და ნერვიულად უთვალთვალებდა ეზოში შემოსასვლელს. მერე კარის ჯახანი გაისმა და მზიამ შენიშნა ზურაბის სახეზე როგორ შეცვალა დაძაბულობა სიხარულმა. მალე ხის კიბეზე ჩარბენილი ზურაბის ფეხის ხმა და აღტაცებით ნათქვამი მოესმა:

— ძალიან გამახარეთ, დიმიტრიჩ, რომ ცოლშვილით გვეწვიეთ.

— ჩემო ზურაბ, ერთმა გერმანელმა თქვა: ბედსა სტაცე ფრთებში ხელი, თავს თუ გადაგიარაო. მგონია, ხვალეც დაბადების დღე გექნებოდათ, არა?!

— დიმიტრიჩი მოვიდა, — თქვა დარასელმა.

ვინც ღია კარის პირისპირ იჯდა, შემოსასვლელს მიაჩერდა. მზიამ გაეღიმა და კარგახანს გაღიმებული დარჩა. ვერ წარმოედგინა, თუ ეს ზოზროხა კაცი ოდესმე ლექსებს კითხულობდა.

დარბაზში ჯერ დიმიტრიჩის 12-14 წლის ქალიშვილები შემოვიდნენ, მერე ორმოც წელს მიღწეული ქალბატონი სოფიო გამოჩნდა ზღურბლზე. გოგონებმა თავი დაუკრეს ხალხს, სოფიომ მოწყალედ გაიღიმა, შეკრებილთ მიესალმა და ციცინოს კოცნით მიულოცა დაბადების დღე. დიმიტრიჩს საზეიმო იერი ჰქონდა. ტლანქი, კოტიტა ხელი ენერგიულად გაუწოდა ციცინოს:

— ასი წლის იუბილე გადაგვეხადოს შენთვის, ჩემო კარგო!

მერე მაგიდასთან მიდგმული ყველა სკამი მომსვლელებმა დაიკავეს. ციცინოს დედამ ცხელი მჭადი შემოუმატა სუფრას და თქვა:

— თოვა დაიწყო.

ყველამ ფანჯრებისაკენ იბრუნა თავი. აქა-იქ ფარდები გასწიეს. შუქზე ისე მოჩანდა, თითქოს უთვალავი თეთრი წერტილი შეჩერებულაო სივრცეში.

— ითოვოს, — თქვა დიმიტრიჩმა, — მით უკეთესი.

თამადად, რასაკვირველია, დიმიტრიჩი დაასახელა ზურაბმა. სულისმოთქმა მაინც მაცალეთო, გაიბადრა დიმიტრიჩი. როცა სული მოითქვა, მოვალეობის შესრულებასაც შეუდგა. ხშირად ფეხზე ამდგარი ამბობდა სადღეგრძელოებს. თუ ავქსენტის და დარასელს დაუჯერებდით, საუცხოო თამადა იყო დიმიტრიჩი, რაც ზარხოშში შედიოდა, მით უფრო ცდილობდა ენამახვილობას, მაგრამ რამდენჯერმე თვითონაც იგრძნო, არ გამოუვიდა. ასეთ შემთხვევაში ხელს უკმაყოფილოდ ჩაიქნევდა ხოლმე. ვახშმის მონაწილენი კი მაინც გულიანად იცინოდნენ. რატომ იცინიანო — მზია შეთქმულივით აკვირდებოდა ხალხს. ხშირად ისმოდა ავქსენტის შეძახილი:

— დიმიტრიჩ, ჩინებულია, ჩინებული!

მას არც მთავარი გინეკოლოგი ჩამორჩებოდა, — დიმიტრიჩი ნამდვილ ორგანიზატორად და თამადად დაბადებულაო.

ავქსენტის სადღეგრძელოს რიგი მოვიდა. დიმიტრიჩმა ყოველგვარი სიკეთე უსურვა, მერე კი მსუქან სახეზე ღიმი აუთამაშდა და ასე დაამთავრა:

— ბევრი რამ გისწავლია, ახლა კი დროა თაფლიანი ქილების ცნობა ისწავლო.

ამის თქმა იყო და მთავარმა გინეკოლოგმა ისეთი ვახახა და ვიხიხიხი ატეხა, რომ სახეზე სილურჯე მოეძალა. ავქსენტის კი მორჩილად გაეღიმა:

— რას ვიზამთ, დიმიტრიჩ, ცდუნება ხანდახან სასაცილოს გვხდის.

ბევრმა არ იცოდა თამადის ქარაგმული ნათქვამი რას ნიშნავდა და, გინეკოლოგის თავაწყვეტილ სიცილზე სიბრალულით იღიმებოდნენ. დათო ცოლის ზურგსუკან გადაიხარა და მზიას გადაულაპარაკა:

— ავქსენტის სანიტარისაგან საავადმყოფოში ქილით მოტანილი „მასტიკა“ თაფლი ჰგონებია და სახლში წაუღიაო.

მზია უფრო გაფერმკრთალდა და ღიმი თანდათან შეაშრა ტუჩზე. ავქსენტის ყურადღება იმათზე ჰქონდა, ვინც მის სადღეგრძელოს ამბობდა, მაგრამ დათოს ნათქვამს მაინც მოჰკრა ყური.

— დათო, ანეგდოტების მოყოლას მოეშვი, — ისეთი ჭაცის უდარდელი სიცილით უთხრა, რომელიც გაპამპულებას დიდიხანია შეჩვეულია.

. . . . . . . . .

— ახლა, მგონია, სიმღერის დროც არის, — შემთვრალ დიმიტრიჩს მსხვილი თვალები ბატონკაცური ძალაუფლების შეგრძნებით ავსებოდა, — ზურაბ, ერთი დაიწყეთ რამე.

— ვასილ დიმიტრიჩ, უმჯობესი იქნება, თქვენმა გოგონებმა იმღერონ, — და გოგონებს მიუბრუნდა ზურაბი: — თუ არ მიწყენთ... ძალიან გაგვახარებთ.

— არა, ჩემი გოგონები კონკურსისათვის ემზადებიან. დღეს ვარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯიშით დაილალნენ, — დიმიტრიჩმა ხელსახოცით მოიწმინდა სქელი ტუჩები.

მზიას ჩამუქებულ ფერებში წარმოუდგა დიმიტრიჩის ფართოყვრიმალიანი სახე, მძლავრი წარბების ფარი და მონღოლივით ჩაჭყლეტილი ცხვირი. ალი-კვალი მოკრივის გარეგნობა ჰქონდა ამ ორმოცდაათ წელს მიღწეულ კაცს.

— არა უშავს, უკვე დაისვენეს, — თქვა ქალბატონმა სოფიომ.

გოგონები მაშინვე წამოხტნენ და პიანინოსაკენ წავიდნენ.

— თქვენი ჭირიმეთ, რა მშვენიერი გოგონებია, — ხმამაღლა თქვა ქსენიამ.

— ჰო, საუცხოონი, — გამოეპასუხა ნანა.

მზიამ გაოცებით შეხედა ქსენიას და მერე ნანას. ნანა იღიმებოდა და მზიამ ვერ გაიგო პირდაპირი მნიშვნელობით თქვა თუ არა. „რა აქვთ ამ გოგონებს საუცხოო? ისინი ხომ საოცრად ჰგვანან მამას...“

— მამიკოებო, კარგი იყო ნოტები გამოგვეყოლებინა, აბა ისე ხომ... მაგრამ სიმღერებით მაინც გაგვახარეთ.

დიმიტრიჩი თვითონ ყურადღებად იქცა, და, რა თქმა უნდა, თანამეინახეებიც გაირინდნენ.

— აი, თუნდაც, ლაღიძის „თბილისი“ შეასრულეთ, — გაამხნევა სოფიომ...

— მშვენივრად, დიდებულად შეასრულეს. მოგვილოცია ქალბატონო სოფიო, — მიულოცა ციცინომ ტაშის შეწყვეტისთანავე. მას სხვებიც აჰყვნენ. მრავალი ქება ითქვა. დარასელმა კი ავტორიტეტულობის პრეტენზიით განაცხადა:

— მარგალიტებივით გოგონები გყავთ, დიმიტრიჩ, თანაც ასე ნიჭიერები.

მზია თვალსა და ყურს ვერ უჯერებდა. „ნუთუ ციცინოც... ციცინოც კი...“ მერე გაახსენდა ციცინოს წუწუნი: ზურაბი ერთი წელია ერთ განაკვეთზე მუშაობს, ზოგს ორი განაკვეთიც აქვსო. „არა, რაღაცას რომ გავდეს აკომპანიმენტი ან სიმღერა, კიდევ ჰო. რა თვითკმაყოფილებით ჩამოუშვია ქალბატონ სოფიოს ღაბაბი“.

მერე თვალში აეკვიატა ბაზარში ნაყიდი მიხაკები, რომლებიც საყვავილეში ჩაეწყოთ და ციცინოს წინ დაედგათ. მზიას მოეჩვენა, რომ მიხაკებისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. მათთვის თითქოს არ ეცალათ. „ზურაბი ყველას აჭარბებს. არა, საინტერესოა, რას იზამდა, დიმიტრიჩი რომ არ მოსულიყო?“

გოგონები კი უკვე „ია-იას“ ასრულებდნენ. მზია იმასღა ფიქრობდა: „საინტერესოა, ამ სიმღერის შემდეგ კომპლიმენტს ვინ დაასწრებსო“.

დათო და ნანა საუბრით იყვნენ გართულნი. ქალბატონი სოფიო ხშირად მიიხედავდა ხოლმე მათკენ ფარული უკმაყოფილებით და მერე სხვათა სახეებს აკვირდებოდა.

ვენერა სიგარეტს აბოლებდა. სიგარიანი ხელის იდაყვი მაგიდაზე ჰქონდა დაყრდნობილი, ამიტომაც მისი ნატიფი მკლავი შეზარხოშებული მამაკაცების ყურადღებას იპყრობდა. ვენერა ახლა დიმიტრის კი არა გივის უყურებდა. მის ცივ მზერაში სიხარბე იგრძნობოდა და მზიას შეეზიზღა.

დიმიტრიჩის ქალიშვილებს. ახლა ზურაბმა შეასხა ხოტბა. კარგი იქნება თუ კონკურსზე მარტო კლასიკური მუსიკით კი არა, საესტრადო სიმღერებითაც წარსდგებიანო.

როცა უკანასკნელი აკორდი მიწყდა, დიმიტრიჩი წამოხტა და ტაში დასცხო. მას, რასაკვირველია, სხვებიც აჰყვნენ. გივი და დათოც წამოდგნენ, ცირა და ნანაც. მხოლოდ მზია დარჩა სკამზე, დარჩა და ყელში ბურთივით რაღაც მოაწვა. ეს სიმღერაც ხომ ცუდად — ძალზე უნიჭოდ შეასრულეს.

აჟიოტაჟი დაცხრა. ციცინო ღვინის შემოსამატებლად გავიდა. ჭიქების შევსება დაიწყეს, მაგრამ დიმიტრიჩმა შეაჩერა, სასმისი შევცვალოთო. ხელი საყვავილეს სტაცა, მიხაკები თეფშზე დააწყო, წყალი ცარიელ დოქში ჩაასხა და ღვინით შეავსო. პატარების სადღეგრძელო თქვა და გამოცალა. ამ განსხვავებული სასმისის შევსება თვით დიმიტრიჩმა დაიწყო და ყოველ მამაკაცს უშუალოდ სთავაზობდა, ღვინის დასხმისას წვეთები მიხაკებზე დაესხურა.

ნანამ მზიას შეხედა: — პირუტყვია, — თქვა ჩუმად.

როცა სადღეგრძელო ჩამოთავდა, მზია წამოდგა, ნაღვინევ საყვავილეში მიხაკები ჩააწყო.

დიმიტრიჩს წინ დაუდგა საყვავილე.

— რას შვრებით — შეცბა დიმიტრიჩი, — განა არ იცით, რომ ციხისელის ოჯახში ვართ და ციცინოს დაბადების დღეა და არა ჩემი?! — მაგრამ საყვავილე ციცინოს ცარიელი სკამის გასწვრივ აღარ გადაუდგამს დიმიტრიჩს.

— დათვრა ეგ გოგო? — დარასელს მიუბრუნდა დიმიტრიჩი.

დარასელმა მხრები აიჩეჩა და თქვა, ასე ჩანსო.

ქალბატონი სოფიო მიუხვდა მზიას, მაგრამ ხმა არ ამოუღია, მხოლოდ სისხლი მოაწვა ისედაც მწითურ სახეზე.

გივი და ციური მოულოდნელობისაგან შეცბნენ. ნანამ მოწონების ნიშნად გაიღიმა.

მზია თავის სკამს დაუბრუნდა.

ზურაბი თითებში სიგარეტს სრესდა. სხვა ვერაფერი მოიფიქრა და ესღა თქვა:

— ვასილ დიმიტრიჩ, ყელი გაშრა.

მზიას სადღეგრძელო არ უთქვამს, ჭიქა ისე დასცალა. მერე მეორე სადღეგრძელო ითქვა, ისიც დალია.

სოფიომ მოიმიზეზა, ბავშვებს ძილი მოუნდათო. დიმიტრიჩი წასვლას არ ფიქრობდა, მაგრამ მეუღლემ ისე დაიყინა წავიდეთო, რომ იძულებული გახდა თამადობა ავქსენტისათვის გადაელოცა. სტუმართა შორის უკანასკნელად მოსულნი პირველნი წავიდნენ.

მზიას არასდროს ჭიქაზე მეტი არ დაულევია, ამიტომაც ღვინო ჩქარა მოეკიდა.

დიმიტრიჩის წასვლის შემდეგ ხალხი ახმაურდა, ალაპარაკდა, მერე ქალბატონი ვენერა ადგა, ფანჯრის რაფაზე მდგარ მაგნიტოფონთან მივიდა და ჩართო. ფირი ვალსზე ყოფილიყო მიმარჯვებული. ხუთიოდ წუთში დარბაზის თავისუფალ ადგილზე წყვილები ტრიალებდნენ. ვენერამ მაგნიტოფონთან მიიდგა სკამი და ჩამოჯდა. მაგრამ უცალოდ დარჩენილმა დარასელმა სთხოვა, ეცეკვათ და ისინიც ფერხულში ჩაებნენ.

— მზია, არ მოიწყინო, — უთხრა დათომ მოახლოებისას, — მერე გაცეკვებ.

მზიამ არაფერი უპასუხა. ობლად მიტოვებულ საყვავილეში მხოლოდ ორი სუფთა მიხაკი მოჩანდა, დანარჩენები ღვინის წვეთებს აეჭრელებინა.

როცა ვალსი დამთავრდა, თავთავიანთ ადგილებს მიაშურეს. მზია გარეთ გასულიყო. იგი აღარ შემოდიოდა და ციცინომ მოიკითხა. არსად ჩანდა. მერე შუშაბანდში მდგარ ტანსაცმლის საკიდზე მისი ქურქი მოძებნა. არ აღმოჩნდა. წასულაო — იფიქრა ციცინომ.

დარბაზში შებრუნდა და შენიშნა, რომ საყვავილეში მხოლოდ დალაქავებული მიხაკები ეწყო, ორი სუფთა მიხაკი კი აღარსად ჩანდა.

— დათვრა ის საძაგელი, — სიცილით უთხრა ზურაბს ციცინომ, — გაპარულა და ნახე, თავისი მოტანილი მიხაკებიც წაუღია.

— მიხაკები წაუღია?!

— რა მოხდა, რამ გაგაგულისა, — გაუკვირდა ციცინოს, — ისე შინაურია, ყველაფრის უფლება აქვს.

— ჭკუის კოლოფები ხართ ორივენი.

— რა გაწყენინა?

— არაფერი, — და ზურაბი ავქსენტის მიუბრუნდა, — ავქსენტი, მოვალეობა არ დაივიწყოთ, იცოდეთ, ღამეს ვათენებთ.

. . . . . . . . .

მზია მარტო მიდიოდა განათებულ ქუჩაზე. ელექტრონის შუქზე აქა-იქ ლურჯ-ცეცხლისფრად მოჩანდა ხვრიში თოვლი. სასმელისაგან მოდუნებული, ნელა, უილაჯოდ მიაბიჯებდა. მან თითქოს ვერც გაიგო, ისე დაუვარდა მიხაკი, ათიოდე ნაბიჯის შემდეგ მეორე მიხაკიც დაეცა თოვლზე. მცირე მანძილი გაიარა, მერე შედგა და უკან მიიხედა. ცივად, უგრძნობლად დაჰყურებდა ნათურა მზიას ნაფეხურებს. მოშორებით, ნალვერდალივით კიაფობდნენ თოვლში ნახევრად ჩაფლული წითელი მიხაკები. ყინვის ყრუანტელმა დაუარა მზიას. კაპრონის წინდით დაფარულ კოჭებს ცივი და სლიპი თოვლი შემოტმასნოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სცენური ხასიათები

ქართველი მაყურებლისათვის უკვე დიდი ხანია ცნობილია რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობის ლეილა ღამბაშიძის სახელი. მაყურებელი იცნობს მის მიერ შექმნილ მრავალფეროვან სახეთა გალერეას. ეს არ არის შემთხვევითი: იგი ცნობილი ქართველი მსახიობის შალვა ღამბაშიძის ძმისშვილია.

ლეილა 1944 წელს შევიდა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში. კარგმა პედაგოგებმა ბუნებით მოკრძალებულ გოგონას ხელი შეუწყვეს ნიჭის გამომჟღავნებაში და მომავალმა სახასიათო მსახიობმაც უკვე ინსტიტუტში იპოვნა თავისი თავი. მისი პირველი როლი იყო ნატალია სტეპანოვნა (ჩეხოვის — „ხელის თხოვნა". რომელიც განხორციელდა ინსტიტუტის სცენაზე, ამავე ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტის აკაკი დვალიშვილის რეჟისორობით). გამოსაშვებ სპექტაკლში — ბომარშეს „ფიგაროს ქორწინებაში" (რეჟისორი დ. ალექსიძე) ლ. ღამბაშიძემ მარსელინას როლი შეასრულა, ახალგაზრდა მსახიობის ეს ნამუშევარი ხუთზე შეფასდა. შემთხვევითი არ იყო ის პატივი, რაც მას ხვდა წილად: აკაკი ხორავამ ინსტიტუტის დამთავრებისთანავე შესთავაზა მუშაობა რუსთაველის სახელობის თეატრში. რა თქმა უნდა, როგორც ყველა სტუდენტისათვის, მისთვისაც საოცნებო იყო აკადემიური თეატრის მსახიობობა.

ლეილას სასცენო მოღვაწეობა თეატრში სიმბოლიურად დაიწყო — მან პირველი ნაბიჯი გ. წერეთლის „პირველი ნაბიჯით" გადადგა (რეჟისორი დ. ალექსიძე. 1948-1949 წ. სეზონი), თუმც მისი როლი ეპიზოდური იყო. ამავე სეზონში შეასრულა მან მედინა ხვანწკარიას როლი ვ. პატარაიას „უჩა უჩარდიაში", რომლის დადგმაც ეკუთვნოდა აკ. ვასაძეს. ახალგაზრდა მსახიობმა განასახიერა სპეკულანტი ქალის როლი, რომელსაც დისონანსი შეჰქონდა საერთო კოლექტიურ შრომაში. პრესამ აღნიშნა, რომ მსახიობს შესანიშნავად აქვს როლი დამუშავებული და მეტად ტიპიურ, დასამახსოვრებელ სახეს ქმნისო.

მას შემდეგ ლეილა ღამბაშიძე სწრაფად იზრდება როგორც მსახიობი. მისი გმირები სულ ახალსა და ახალ ფერებს იძენენ, თავიდანვე ხასიათდებიან რეალისტურობითა და კოლორიტულობით. ცნობილმა კრიტიკოსმა ბესარიონ ჟღენტმა აღნიშნა, რომ ლეილა ღამბაშიძემ, ვასის როლით (ვ. კარსანაძის „მარად მწვანე ველები". რეჟისორი მ. თუმანიშვილი), გვიჩვენა ახალგაზრდა მსახიობთა კადრების ზრდის ნიმუში. ყოველი მისი ფრაზა, ყოველი მოძრაობა გააზრებულია და გამიზნული. დიდი მხატვრული ტაქტით იძლევა პერსონაჟის უაღრესად თავისებურ ხასიათს. იგი ნახულობს მსახიობური ოსტატობის უბრალო, გამომხატველ საშუალებებს.

ლ. ღამბაშიძე თავის შემოქმედებით იდეალს, თავის მრწამს მხოლოდ უარყოფითი გმირების გაკრიტიკებით როდი იძლევა. იგი დადებით პერსონაჟებსაც თამაშობს. ასეთია ივდითი (პ. კაკაბაძის „ბედნიერი სამჭედლო", აკ. ვასაძის რეჟისორობით). ლეილა ანსახიერებს მოწინავე კოლმეურნე ქალს, კომუნისტს, კარგ ქართველ დედას, ცხოვრების გამოცდილებით დაბრძენებულ ადამიანს. მსახიობს დიდად უწყობს ხელს ეფექტური გარეგნობა, მაღალი ტანი, მიმზიდველი და სიმპათიური სახე, დარბაისლური კილო, შესანიშნავი მეტყველება, სითბო და სხვა სცენური მონაცემები. ასევე საინტერესო სახე იყო მისი ელისაბედი (ბერძენიშვილის „ლერწამი ქარში", რეჟისორი გ. პატარაია), რომელიც ბუნებრივობითა და დიდი შინაგანი სითბოთი ხასიათდებოდა. თეატრალურმა კრიტიკამ სამართლიანად აღნიშნა, რომ ამ როლში გამოვლინდა მსახიობის ლირიზმი, შერწყმული იუმორთან, რაც, საერთოდ, ლ. ღამბაშიძის მსახიობური ინდივიდუალობისათვის არის დამახასიათებელი. ს. კლდიაშვილის პიესაში — „დღესასწაული საკრეულაში" დარიკოს როლით იგი მაყურებლის გულწრფელ სიცილსაც იწვევდა და, ამავე დროს, წინა პლანზე სწევდა თავისი გმირის ადამიანურ თვისებებს, რითაც აღწევდა ხასიათის ბუნებრივობას.

ქ. ბუაჩიძის პიესაში „ეზოში ავი ძაღლია", ლ. ღამბაშიძე ფოფიას ასრულებდა. ახალგაზრდა მსახიობი შესანიშნავ პარტნიორობას უწევდა ბ. ზაქარიაძეს (ლაითაძე). მისი ფოფია იყო გარეგნულად ლამაზი, მდიდრულ ხალათში გამოწყობილი, მაგრამ შინაგანად ლატაკი, შურიანი, ჭორიკანა ქალი.

ასე, როლიდან — როლამდე იზრდება მსახიობი და თავის გმირთა გალერეას ამდიდრებს ახალი სახასიათო სახეებით, მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა მკვეთრი ფერებით შესრულებული ანიკო ს. კლდიაშვილის „ქარიშხლიდან" (რეჟ. ლ. მირცხულავა). ანიკო მსახიობის საყვარელი როლია. ღამბაშიძის ფოფია თუ მეზობლებს აშფოთებდა პატიოსანი ადამიანის ნიღაბით, ანიკო რევოლუციური წესრიგისა და პროლეტარული ლოზუნგის სახელით მოსვენებას არ აძლევდა ხალხს თავისი მორალით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს „აქტიური“, „ვეშაპი ქალი“ პროლეტარიატის ვულგარულ „მორალს“ უქადაგებდა ხალხს. პროფესორი ე. გუგუშვილი თავის წერილში აღნიშნავდა, რომ ლეილა ღამბაშიძემ გროტესკულ სიმაღლემდე აიყვანა ანიკოს როლი. ფერები და ფანტაზია არ დაიშურა ამ სახის გასამდიდრებლად. ნ. გურაბანიძის შენიშვნით, ლეილა ღამბაშიძის ანიკოს ქალური მომხიბვლელობა ჰქონდა დაკარგული. დაკოჟრებული ხელები მიაჩნდა სილამაზის იდეალად და ექსტაზი იპყრობდა, როდესაც აგიტაციის შთაგონება ეწვეოდა. მისი საუბარი რიტორიკულ შეძახილებად იყო ქცეული.

ლ. ღამბაშიძეს ქართულ დრამატურგიაში ძირითადად კომედია იზიდავს. მაგრამ მას მონაწილეობა აქვს მიღებული უცხოელ ავტორთა დრამებშიც. მაგალითად, არტ. მილერის „სეილემის პროცესში“ (რეჟისორი რ. სტურუა) მან გაუნათლებელი, ცრუმორწმუნე, დამფრთხალი ზანგი ქალის ტიტუბას დამაჯერებელი სახე შექმნა.

და რაც მთავარია, უარყოფითია გმირი თუ დადებითი, კომიკურია თუ დრამატული, ლ. ღამბაშიძე ყველგან გამოხატავს თავის მრწამსს, თავის სასიცოცხლო თუ შემოქმედებით იდეალებს. ქართველ მაყურებელს იგი უყვარს სუფთა, ადამიანური მისწრაფებების, თავმდაბლობის, კეთილსინდისიერი მუშაობის, მაღალი მოქალაქეობრივი მორალისა და ხალასი ნიჭის გამო. მას მინიჭებული აქვს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება.

ამ ბოლო დროს ლ. ღამბაშიძემ ორი საინტერესო სახე შექმნა თემურ ჩხეიძის მიერ დადგმულ სპექტაკლში. შ. დადიანის „გუშინდელში“ მან კნეინას როლი შეასრულა, კომედიური ხერხებით ახსნილა ადამიანი, რომელიც ძველ ცხოვრებას ებლაუჭება, ცდილობს ახალ ვითარებასთან შემაგუებელი გზების გამონახვას, რათა ისევ და ისევ ძველი დაიბრუნოს. და ეს გონებაშეზღუდული ქალი ვერ ამჩნევს თავისი მიზნის უსუსურობას. გარსია ლორკას „ბერნარდა ალბას სახლში“ ლ. ღამბაშიძე პრუდენსიას როლში ვიხილეთ. მას იმდენად მაღალი მსახიობური ოსტატობა გააჩნია, რომ ძალა შესწევს უხმო სცენაშიც მოგვითხროს ამბავი, შექმნას სიტუაცია, გახსნას ხასიათი. მოგვყავს ამონაწერი „ლიტერატურულ საქართველოში“ მოთავსებული რეცენზიიდან: „პრუდენსია თითქმის უტექსტოდ ქმნის მეორე ობიექტურ ცენტრს, მეორე ბერნანდა ალბას. მაყურებლებს სჯერათ — ეს სოფელი, გარსია ლორკას ეს ესპანეთი დასახლებულია ბერნარდა ალბებით. სცენაზეა მისი ორეულიც, ადათის ერთგული, მკაცრი, ერთნაირად რომ იზიარებს ბერნარდას მორალს, კანონსა და ცხოვრების წესს“.

როგორც მისი ბოლო ნამუშევრები მოწმობს, მსახიობი ახლა შემოქმედებითი სიმწიფის ხანაშია და მისი ნიჭი კიდევ მრავალჯერ გაახარებს ქართველ მაყურებელს.

**ლია გუგუნავა,**
თეატრმცოდნე.


პრუდენსია — „ბერნარდა ალბას სახლი“.

დარიკო (მარცხნივ) — „დღესასწაული საკრეულაში“.





სხდომის მონაწილეები

# ჩვენს პედაგოგიურ საბჭოში

## სხდომა №4

დღევანდელი პედაგოგიური საბჭოს სხდომის დღის წესრიგშია „დამრიგებელი, მასწავლებელი, მოსწავლე“. საკითხი დიდზედიდი, მოუწურავი, ყოვლის მომცველია სკოლის ცხოვრებაში. ამიტომ დღევანდელ სხდომას არავითარი პრეტენზია არ გააჩნია იმისა, რომ ერთი ერთზე შეებას ამ უზარმაზარ თემას, მეთოდური თანმიმდევრობით განიხილოს იგი, დასახოს რაიმე პრინციპული ღონისძიება. ჩვენი თავშეყრის მიზანი უფრო მორიდებულია: გავესაუბროთ ერთმანეთს, ჩრდილოვანი მხარეები გავაკრიტიკოთ, კარგი მოვიწონოთ და, იქნებ შევძლოთ რაიმე, მედარებით ახალი ვთქვათ.

სარედაქციო ფოსტა პედაგოგებისგანაც იღებს ხშირად წერილებს, რომლებშიც ბევრი საინტერესო, საყურადღებო საკითხია დასმული. მაგალითად: როგორი უნდა იყოს საბჭოთა პედაგოგი; რა არის დამრიგებლის ვეთილები, ხელფასი კი ძველებური შეუქმნათ კლასის განთავისუფლებული ხელმძღვანელის შტატი. მას არ უნდა ექნეს გაკვეთილები, ხელფასი კი ძველებურად შეუნარჩუნდეს — ასე გვთავაზობს თბილისის 27-ე საშუალო სკოლის დირექტორი თ. ჩიხლაძე და ა. შ.

ბავშვის აღზრდის საკითხი კაცობრიობის ასაკისაა. იცვლებიან თაობები, ფორმაციები, არ იცვლება მხოლოდ ერთი — მშობელს უნდა კარგი, განსწავლული, აღზრდილი შვილი ჰყავდეს. ვინც ეძებს, იპოვნის კიდეც! — ჩვენი დღევანდელი სხდომაც მარადიული ძიების ერთი გაელვება იქნება მხოლოდ.

გამოსული ამხანაგების სიტყვებიდან ჩვენ მხოლოდ ცალკეული ადგილების გადმოცემის საშუალება გვაქვს.

თამარ ქორიძე — **თბილისის [illegible]ელი საშუალო სკოლის IV2 კლასის ხელმძღვანელი:**

ყველა, ვისაც პედაგოგობა სურს, მოვალეა დაუსვას საკუთარ თავს შეკითხვა: უყვარს თუ არა ბავშვები?

მოზარდი გულის კარს მხოლოდ მაშინ გაგიღებს, როცა გენდობა, პატივს გცემს, დარწმუნებულია შენს სიყვარულში.

ბავშვს საოცარი უნარი აქვს — გაარჩიოს ავი კარგისაგან, მიხვდეს გულწრფელად ულიმი თუ ყალბი, მოჩვენებითი ღიმილი გაქვს აკრული. გვახსოვდეს, ბავშვს საპასუხოდ სიყვარულიც შეუძლია და სიძულვილიც.

პედაგოგი ზედმიწევნით უნდა იცნობდეს თითოეული აღსაზრდელის შინაგან სამყაროს. ბავშვის სული ტრაფარეტი როდია. იგი ინდივიდუალურ მიდგომას მოითხოვს.

საბჭოთა პედაგოგის წმინდა მოვალეობათა შორის უნდა აღვნიშნოთ ერთი: იგი უნდა ცდილობდეს მაქსიმალურად გადასცეს მოსწავლეებს წინაპართა ნამოღვაწარი, საუბრების საშუალებით იქნება ეს გაკვეთილის ახსნის პროცესში, ისტორიული ადგილებისა და მუზეუმების დათვალიერებითა თუ სხვა პედაგოგიური მეთოდების საშუალებით.

ნინო რევაზოვა — **ქ. საგარეჯოს მეორე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი:**

— ჩემი, როგორც პედაგოგის, უპირველესი მიზანია აღვზარდო ბავშვებში შრომის სურვილი და სიყვარული, რადგანაც მჯერა, რომ შრომისმოყვარე ადამიანი თავისუფალია ყოველგვარი მანკიერი მხარეებისაგან.

ჩემი სადამრიგებლო — IV2 კლასის მოსწავლეებს განსაკუთრებით უყვართ შრომის გაკვეთილები. მათ ხშირად ნახავთ ლეჩხუმოსილ, პენსიონერ მასწავლებელთა გვერდით, რომ საჭიროების შემთხვევაში დახმარების ხელი გაუწოდონ.

მასწავლებელი მკაცრი, მომთხოვნი, მაგრამ სამართლიანი უნდა იყოს. აღზრდის ყველაზე კარგ საშუალებად პედაგოგის პირადი მაგალითი მიმაჩნია.

თამარ სულაქველიძე — **თბილისის 77-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი:**

— დამტკიცებულია, რომ არ არსებობს ორი ერთნაირი უნარისა და შესაძლებლობის ადამიანი. ზოგი ბავშვი ახსნილ მასალას სწრაფად, დაუბრკოლებლად ითვისებს, ზოგი კი, პირიქით, ბევრს, სამწუხაროდ, მიაჩნია, რომ მოსწავლე, რომელიც ცუდად ითვისებს მასალას, უიმედოა და არაფერი მასთან არ გამოვა.

ჩემმა ხანგრძლივმა პედაგოგიურმა გამოცდილებამ სავსებით გაფანტა ამდაგვარი ეჭვები. თუ კი პედაგოგი გამოიყენებს მთელ თავის შესაძლებლობებს, გულმხურვალედ, გულისტკივილით მოეკიდება ასეთ ბავშვებთან მუშაობას, დამერწმუნეთ შედეგი არ დააყოვნებს, ოღონდ ასეთი მოსწავლეები მეტ სითბოს, მეტ ყურადღებას, მეტ დროს, მეტ კონტროლს მოითხოვენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახსოვს, სხვა სკოლიდან გადმოსული, აკადემიურად ძლიერ ჩამორჩენილი ერთი გოგონას ამბავი: ბავშვი მეტად წესიერი, თითქოს ყურადღებიანიც იყო, მაგრამ ვერ იქნა და ამხანაგებს პროგრამის ათვისებაში ვერ დაეწია.

ერთხელ გაკვეთილების შემდეგ დავტოვე და ვუსაყვედურე. საპასუხოდ მან ცრემლიანი თვალებით შემომხედა და მითხრა: „რა ვქნა, მასწავლებელო, განა მე არ მინდა, მაგრამ რომ არაფერი გამომდის!" ის დღე იყო და ის დღე, რომ იტყვიან, თავი გადავდე და შედეგსაც მივაღწიე. მართალია ბრწყინვალედ არა, მაგრამ საშუალოდ მაინც დაიწყო ბავშვმა სწავლა.

ჩვენს სკოლაში სისტემატური ყურადღების ქვეშ არიან დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეები. ასეთ ბავშვებთან დამატებითი მეცადინეობის ჩატარება პედაგოგებისათვის ჩვეულებრივ, ყოველდღიურ საქმიანობადაა ქცეული. და შედეგიც სახეზეა, თბილისის 77-ე საშუალო სკოლაში მეორეწლიანი ბავშვები, როგორც წესი, აღარ არიან.

ნ ო რ ა ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი — **თბილისის მე-15 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი:**

...ყველა ბავშვს უნდა სილამაზესთან, მშვენიერებასთან ახლოს იყოს.

სკოლიდან ვბრუნდებოდი, ეზოში პატარები თამაშობდნენ, ერთ-ერთმა, რომ დამინახა, ჯერ გამიცინა, მერე თითი ცისკენ აიშვირა და მითხრა: „დეიდა ნორა, ნახეთ რა ლურჯია ცა, ჩამომიტანეთ ცა, რაა!"

გამაოცა ბავშვის ფანტაზიამ, მისმა უშუალობამ, სილამაზის ასეთი „ხილვის უნარმა". მთელი ღამე ვფიქრობდი შემდეგ მასწავლებლის როლზე, მის წმინდა მოვალეობაზე, იგი ხომ გულთამხილველი უნდა იყოს. დღეს იმ ბიჭუნამ შესძლო ეთქვა სათქმელი. რამდენს კი იქნებ მეტის თქმა სურს, მაგრამ ვერ ახერხებს. ჩვენ, პედაგოგები კი მოვალენი ვართ ეს მათ სახეებზე, მათ სულში ამოვიკითხოთ. ამოვიკითხოთ არა თუ მშვენიერების ხილვის უნარი, არამედ ის საყოფაცხოვრებო დრამებიც, რომლებიც იშვიათად, მაგრამ მაინც ტრიალებს ზოგიერთი ბავშვის ოჯახში და დაღს ასვამს ბავშვის ხასიათს, ამოვიკითხოთ, ვუშველოთ, ვასწავლოთ, გზაზე დავაყენოთ.

პედაგოგი უნდა გამოირჩეოდეს მაღალი ზნეობრივი თვისებებით, „მასწავლებლები ერთხილად უნდა იყვნენ, არ უნდა ჰგავდნენ გზაზე მდგარ მერკურიებს (მოგზაურთა მფარველ ღმერთებს), რომლებიც გაწვდილი ხელებით გზის მიმართულებას გიჩვენებენ, თვითონ კი არსად არ მიდიან".

ეს სიტყვები დიდ პედაგოგს კომენსკის ეკუთვნის და ცხოვლად მიგვითითებს პედაგოგის მაღალ დანიშნულებაზე.

ნ ი ნ ო მ უ რ ა დ ა შ ვ ი ლ ი — **რუსთავის მე-16 საშუალო სკოლის მასწავლებელი.**

არ ვიზიარებ აზრს კლასის განთავისუფლებული ხელმძღვანელის შესახებ, პედაგოგი არ უნდა მოწყდეს სუფთა სასწავლო პროცესს. ჩემი აზრით, იგი უნდა ახერხებდეს შეუთავსოს თავისი გაკვეთილები კლასის ხელმძღვანელის მოვალეობას. ეს ორი რამ ერთმანეთს ავსებს და ერთ მთლიან პროცესად მაქვს წარმოდგენილი.

კლასი მრავალრიცხოვან ოჯახსა ჰგავს, კლასის ხელმძღვანელი კი ოჯახის მეთაურს. რაკი ლაპარაკი ოჯახს შეეხო, უნდა აღვნიშნოთ, რომ ბავშვის ოჯახთან მტკიცე, ორგანული კონტაქტის დამყარება ერთ-ერთი აუცილებელი პირობა გახლავთ, სკოლა და ოჯახი ერთმანეთს უნდა ავსებდეს, ერთის ნაკლს მეორე უნდა ასწორებდეს.

საჭიროა მშობელთა სისტემატური პედაგოგიზაცია, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მოსწავლეთა ასაკობრივი გარდატეხის პერიოდში.

თ ა მ ა რ მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი — **საგარეჯოს მეორე საშუალო სკოლა.**

— შეხსნა მოსწავლის სულიერი სამყაროს კარი, ნიშნავს გქონდეს უდიდესი პედაგოგიური ტაქტი. ამ ტაქტის წყალობით ბავშვი უნდა გრძნობდეს მასწავლებელთან — დამრიგებელთან სიახლოვეს, მაგრამ ერიდებოდეს იმ ზღვარის გადალახვას, რაც პედაგოგსა და მოსწავლეს შორის მუდამ არსებობს და იარსებებს:

სადამრიგებლოდ კლასს ყოველთვის მეხუთე კლასიდან ვიბარებ, რადგან ჩემი საგანი, გეოგრაფია, ამ კლასიდან იწყება.

და აი, ერთხელ ჩემს მეხუთეკლასელებს ტყუილი შევნიშნე. ავირჩიე მათთან გულახდილი საუბრის გზა, მოვიშველიე კრება, კედლის გაზეთი, ექსკურსიები. ვცდილობდი მე თავად მუდამ მართალი ვყოფილიყავი, ტყუილი არასოდეს გამომსვლოდა, და როცა მეგონა შედეგს მივაღწიე, უეცრად (ამ დროს ისინი მეშვიდე კლასში იყვნენ), ჯგუფში დაიკარგა ფული. ბავშვები პირდაპირ აღებდნენ ხელს დამნაშავეს. როგორი უნდა მოვქცეულიყავი? რა თქმა უნდა, დამნაშავე დავინდე, ნამუსზე შევაგდე: იხუმრა, რა მოხდა, განა მართლა მოიპარა. ახლავე თავის ხელით დაუბრუნებს პატრონს-მეთქი. რაც ასეც მოხდა. ეს ბავშვი, სხვათაშორის, ადრეც იყო შენიშნული. ეს იყო და ეს. ისე დაამთავრეს სკოლა, ბავშვს მსგავსი საქციელი არც შინ და არც გარეთ აღარ გაუმეორებია.

ე თ ე რ ზ ა ქ ა ი ძ ე — **მცხეთის რაიონის სოფელ მისაქციელის საშუალო სკოლა:**

— აღსაზრდელთა სიყვარული, მათზე მუდმივი მშობლიური ზრუნვა — აი კლასის ხელმძღვანელის უპირველესი მოვალეობა. მაგრამ მარტო სიყვარული და ზრუნვა როდია საკმარისი, პედაგოგი ბავშვებთან სწორი, ნაყოფიერი კონტაქტების ძიებაში უნდა იყოს ნიადაგ, უტარებდეს მათ როგორც ინდივიდუალურ ასევე კოლექტიურ საუბრებს. მუდმივი ურთიერთობა ჰქონდეს ბავშვების მშობლებთან, სხვა საგნების მასწავლებლებთან, სისტემატურად ესწრებოდეს მათ გაკვეთილებზე, მოსწავლეებს ხედებოდეს სკოლის გარე სამყაროში. ავიღოთ, თუნდაც ექსკურსია. მასწავლებელს იგი მაქსიმალურად შეუძლია გამოიყენოს თითოეული ბავშვის გამოსაცნობად, რაც ძალიან გამოადგება შემდგომ მუშაობაში.

სოფლის მასწავლებელს დიდად აახლოვებს ბავშვებთან პრაქტიკული სამუშაოები. მახსოვს, ერთხელ, ყურძნის კრეფის სეზონი რა ნაყოფიერად გამოვიყენე ჩემთვის ახლადჩაბარებულ კლასთან ურთიერთობის დასამყარებლად.

ბავშვებს ერთმანეთს ვაჯიბრებდი, მე თავად ვიწვევდი თითოეულ მათგანს, ვინ მეტ ყურძენს მოკრეფდა. დღის ბოლოს ხან კინოში მივდიოდით, ხან ახლომახლო სოფლებს ვათვალიერებდით, ხან ჭალას ვესტუმრებოდით, ხან კი არაგვს, ასე რომ, როცა სამუშაო დავამთავრეთ, ჩვენ უკვე კარგი მეგობრები ვიყავით და კლასი, რომელიც მე ახალი ჩაბარებული მყავდა და რომელიც აქამდე მეტად საეჭვო რეპუტაციით სარგებლობდა, მოკლე ხანში ერთ-ერთ მოწინავე ჯგუფად იქცა.

შ ო რ ე ნ ა ქ ა ჯ ა ი ა — **მცხეთის საშუალო სკოლა:**

სწავლა-აღზრდის პროცესი რომ ერთიანია, ეს აღმოჩენა არ უნდა იყოს. სწავლა შრომაა, შრომა დამღლელი, მაგრამ სასიამოვნო. შრომისადმი სიყვარულის აღზრდა კი მაღალზნეობრივი მოქალაქის ჩამოყალიბების საფუძველია.

მაგრამ როგორია საქმე ამ მხრივ ჩვენს სკოლებში, უყვართ თუ არა ბავშვებს შრომა? მე მგონი, რომ არა.

მინდა მოგაგონოთ ის საზოგადოებრივი ატმოსფერო, რაც სულ ახლო წარსულში იყო გამეფებული ჩვენში და რაც მეტად უარყოფითად მოქმედებდა ბავშვის ფსიქიკაზე. აქვე უნდა აღვნიშნო, აგრეთვე, წიგნისადმი ინტერესის მძაფრი შემცირება, რაც ინფორმაციის სხვა წყაროების მოზღვავებითაა (რადიო, ტელევიზია) გამოწვეული.

ერთი საკმაოდ სერიოზული მიზეზი კიდევ ისაა, რომ მოსწავლისათვის მშვენივრადაა ცნობილი მასწავლებლის მუშაობის ზოგიერთი სუსტი მხარე: მან იცის, რომ თითოეული ორიანისათვის მასწავლებელი პასუხს აგებს. ახლა, მერე რა, თუ არ ისწავლის, მასწავლებელი მას გაკვეთილების შემდეგ დატოვებს და ცალკე აუხსნის მასალას.

ჩემი ფიქრით, ყველა ჩამორჩენილ ბავშვთან დამატებითი გაკვეთილის ჩატარება არ არის სწორი. ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ზარმაცი და ძნელადდამთვისებელი ბავშვი. ზარმაცი ბავშვის ცალკე მეცადინეობა არ არის მიზანშეწონილი. იმ იმედით, რომ მაინც ისწავლის, იგი მთლიანად გაზარმაცდება და დამოუკიდებლად მუშაობას ვერასოდეს ვეღარ მიეჩვევა.

მინდა კიდევ ერთ საკითხზე შევჩერდე. ხშირად გვსმენია, რომ ჭეშმარიტი პედაგოგი იბადება, იბადება ისე, როგორც პოეტი, მხატვარი, მუსიკოსი და ა. შ. მაგრამ ასეთი ტალანტები ხომ არც ისე ბევრია. ჩვენს სკოლას კი ათასობით პედაგოგი სჭირდება. თუ

ვქნათ?! — პედაგოგის ხელოვნებას უნდა დავეუფლოთ. ეს სავსებით შესაძლებელია, თუ კი სამისო სურვილი და მონდომება იქნება. მხოლოდ საჭიროა მეტი მეთოდური ლიტერატურა გვქონდეს, ბევრის მომცემი, საინტერესო, მეცნიერულად გამართული ლიტერატურა.

ლ ე ი ლ ა ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე — **ქ. რუსთავის მე-15 საშუალო სკოლის დირექტორი:**

— უარყოფით მოვლენად უნდა ჩაითვალოს ბევრი ბავშვის ბატონკაცური დამოკიდებულება ფიზიკური შრომისადმი, რაც გამოხატულებას პოულობს პროფტექნიკური სასწავლებლების დაკომპლექტებისას. საიდან მოდის ეს? გვიან ხომ არ ვიწყებთ ბავშვებთან მუშაობას პროფორიენტაციის თვალსაზრისით?

საჭიროა დაწყებითი კლასებიდან შევაყვაროთ ბავშვებს შრომა, მოვუთხროთ მშრომელი ადამიანების გმირობაზე, მათ მიღწევებზე, ხელიდან არ გავუშვათ არც ერთი ისეთი შემთხვევა, რომელიც შრომის სიკეთეზე მეტყველებს.

პედაგოგმა უნდა შესძლოს ასწავლოს ბავშვს არამარტო სიმართლის ფასი, არამედ სიყალბის გამოცნობაც, არამარტო სიყვარული — ზიზღიც საძულველისადმი. ბავშვს არ უნდა ჩავუკლათ (როცა ეს საჭიროა) შეკამათების სურვილი. ჩვენ საზოგადოებას სულაც არ ესაჭიროება სხვისი ნების მორჩილი, უინიციატივო ადამიანები.

ლ ე ი ლ ა დ ო ლ ი ძ ე — **თბილისის რესპუბლიკური ექსპერიმენტული სკოლა:**

— როგორ ვასწავლოთ ბავშვს სწავლა — აი ერთ-ერთი ძირითადი პრობლემათაგანი, რომელიც პედაგოგის წინაშე დგას.

არის შემთხვევა, როცა ბავშვს დიდი სურვილი აქვს სწავლისა, რამდენადაც შეუძლია, მეცადინეობს კიდეც, მაგრამ შედეგი მაინც უარყოფითია. ცხადია, ბავშვი დაუფლებული არ არის სწორად მეცადინეობის პრინციპს.

უპირველეს ყოვლისა, მასწავლებელმა ასეთ ბავშვს არ უნდა აგრძნობინოს, რომ იგი სხვაზე ნაკლებია. ეცადოს, ახლოს მივიდეს ასეთ ბავშვთან: გაიგოს როგორ აგებს იგი თავისი მეცადინეობის გეგმას, საიდან იწყებს თემის გაგებას, რაზე ამახვილებს ყურადღებას, ყურადღებიდან ხომ არ რჩება გაკვეთილის მთავარი საკვანძო საკითხი, მოკლედ მასწავლებელმა უნდა მოიშველიოს მთელი თავისი პედაგოგიური ალღო, უნარი, ცოდნა და შესძლოს მიაჩვიოს ბავშვი სწორად მეცადინეობას.

* * *

პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე უფრო მეტი, გაცილებით მეტი ითქვა, ვიდრე ეს წერილობით გადმოცემით მოხერხდა.

საუბარმა აქტიურ, გაცხოველებულ ვითარებაში ჩაიარა, რაც სხდომის წევრებისათვის უთუოდ დიდად სასარგებლო იქნება.

# მგლის არაკები

## ნაჭერა

მგელი ცხვრის ფარას დაერია. საქონელმა სისხლი რომ დაინახა, აბღავლდა. მოვარდა ხარი და ავაზაკი რქებით დაგლიჯა. ცოცხალ-მკვდარი მგელი ბუჩქებში შევარდა, თვალები დაჭყიტა და თქვა:

— აკი საქონელი უენოაო? მაშ, რაღათა ბღაოდნენ? ეჰ, ნეტავ მართლა უენონი იყვნენ, მაშინ ჩემთვის ცხოვრებაც ადვილი იქნებაო!

## მელიას პასუხი

მგელმა მელია ქათმის ქურდობაზე შეისწრო, მაგრამ კრინტიც არ დაძრა.

კურდღელმა მელიას უთხრა: — დახე, მგელმა არაფერი გითხრაო!

— მაშინ ხომ მეც გავთქვამდი, ცხვარი რომ მოიპარაო.

— ვაი ჩემს თავსო! — დაიყვირა შეშინებულმა კურდღელმა და ტყისაკენ მოკურცხლა.

## სიკეთე

მგელმა ხერხზე ცხვარი დაიჭირა და უთხრა:

— მეც მგელი ვარ, მაგრამ სხვებივით ხარბი არა ვარ. სხვა ჩემს ადგილზე აქამდე შეგჭამდა. მე კი კარგი თვალით გიცქერი.

— მაშ არ შემჭამ?

— ჰმ! შეჭმით როგორ არ შეგჭამ, მაგრამ სხვა მგლებივით არ გამოგდადრავ ყელს, დუმიდან დავიწყებო.

— ეჰ, ეგ ჩემთვის სულერთია... — თქვა საცოდავმა ცხვარმა.

— სულელო, სანამ ყელამდე მოვიდოდე, მანამ ხომ იცოცხლებ? ეგეც კარგი საქმეაო! — უპასუხა „კეთილმა“ მგელმა.

შეკრიბა და ქართულად თარგმნა
ვასკო ცხოვრებოვმა.

## მარადჟამს ვუმღერ მას

ვინც იწვის სამშობლოს მაღალი ეშხით
და ვინც ქმნის დოვლათის ულეველ ზღვას,
მე მას ლექსს ვარდებად გავუშლი ფეხთით
და მრავალჟამიერს ვუმღერებ მას.

ვინც იცის მეგობრის ძალა და ფასი
და ჩაგრულს მხარს მისცემს, როგორც ძმა-ძმას,
მას ჯილდოდ დღეს ჩემი ლექსების თასი
და ჩემი სიმღერაც მარადჟამს მას.

ვინც ებრძვის გაუტეხ ველებს და ახოებს
და არ უშინდება წვიმას და ქარს,
ვარდებად მივუძღვნი ამ ლექსის ასოებს
და ეშხით ვუმღერებ მას.

ვინც ბრძოლას უცხადებს მტრობას და შურს
და ლხენით შეჰყურებს უღრუბლო ცას,
მას ჯილდოდ მივუძღვნი მთიელის გულს
და თუნდ სიცოცხლესაც გავუყოფ მას.

ქრისტინე ჯინჯარაული,
თიანეთი, ლულები.

# უსამართლო ბარათები

## არც ერთი ალერსიანი სიტყვა

გულახდილად გეტყვით, ძვირფასო რედაქცია, რომ ძალიან მეძნელებოდა თქვენთვის წერილის მოწერა და ჩემი საგკივარის გამხელა. მაგრამ, ვიცი, ჟურნალში წერილს ბევრი წაიკითხავს და, ალბათ, ჩემი ოჯახის ამბავი ბევრს დააფიქრებს.

უკვე ოცი წლისა ვარ და ჯერ არ გამომიცდია, რა არის მამა-შვილური სითბო. ამ გრძნობის შესახებ მე წიგნებში თუ წამიკითხავს და კინოფილმები მინახავს. განა იმიტომ, რომ მამა არა მყავს! საქმეც იმაშია, რომ მყავს ლვიძლი მამა, მაგრამ ერთი ალერსიანი სიტყვა არ მახსოვს მისგან არც მე, არც ჩემს ორ დას და ერთ უმცროს ძმას.

როგორც მამა სახლში ფეხს შემოდგამს, იქიდანვე საჩხუბარ მიზეზს ეძებს. დღე არ არის, რომ არ ყვიროდეს, არ გვლანძლავდეს. ნეტავ, რას იზამდა, მართლაც რომ რამეს ვაშავებდეთ?

როგორც კი შემოსულს დავინახავთ, დედაშვილებიანად ყველანი ფეხზე წამოვცვივდებით და აღარ ვიცით, რით ვასიამოვნოთ, მაგრამ ისეთ ბრალდებას წამოგვიყენებს, ისეთ რამეზე მოგვდებს შარს, რომ უსამართლობისაგან გული გვისკდება. ჩემი და ამბობს ხოლმე, ისტორიაში რომ ვსწავლობთ, მონათმფლობელურ სახელმწიფოებში მონებს როგორ აწამებდნენ უსამართლო განაჩენით, სულ ჩვენი ოჯახი მახსენდებაო.

დედა ხშირად ეტყვის: — შე კაცო, რა მამინაცვალივით იქცევიო, მაშინ მამა უარესად იფეთქებს ხოლმე: — შენ გაათამამე ეგენიო. ნეტა, რომელ სითამამეზე ლაპარაკობს, როცა მისი შიშით ხმა ვერ ამოგვიღია!

გული მიკვდება იმის გაფიქრებაზე, რომ არცერთი ოჯახიდან არ ისმის მამაკაცის ისეთი ყვირილი, როგორც ჩვენი სახლიდან. არცერთ ჩემს მეგობარს არ ეშინია თავისი მამის, თუმცა მშობლის რიდი და პატივისცემა ყველასა აქვს.

ჩვენ რაღა დავაშავეთ, ძვირფასო რედაქციავ?

იზოლდა მ.
ქუთაისი.

## მათი იმედითღა ცოცხლობს

ქალაქ ფოთში ცხოვრობს ერთი სანდომიანი, ყველასთვის კეთილი ქალი. ერთ დროს ის ბედნიერი იყო, ჰყავდა კარგი მეუღლე, შვილები, ძმები, მაგრამ სიკვდილმა უდროოდ გამოაცალა ყველა ხელიდან, ნუგეშად დარჩა მხოლოდ ერთადერთი ქალიშვილი, რომელიც სხვა ქალაქში გათხოვდა ერთ კარგ ვაჟზე. სწორედ ამ ქალიშვილმა გადაატანინა დედას იმდენი უბედურება და სიცოცხლე შეუწარჩუნა. როცა ის თავისი დაზრდილი შვილებით დედასთან ჩამოცქრიალდებოდა, საბრალო, გამწარებული ქალიც მაშინ ხარობდა და მათგან დატოვებული სითბოთი და ალერსით საზრდოობდა მომავალ ჩამოსვლამდე, მათ ლოდინში უთენ-უღამდებოდა.

მაგრამ მართლაც უბედურ ვარსკვლავზე ყოფილა ეს ქალი გაჩენილი. ერთ გაზაფხულზე მას ახალი განსაცდელი დაატყდა — ის ერთადერთი ნუგეშიც ხელიდან გამოეცალა. მეხუთე შვილის დაბადებას გადაჰყვა მისი ქალიშვილი...

ამბობენ, რომ მისმა მეუღლემ მალე გაიჩინა ახალი მეგობარი, თავის შვილებს კი ბებიას ნახვა აუკრძალა იმ მოტივით, რომ „როცა მტირალ ბებიას ნახავენ, ბავშვები განერვიულდებიანო".

ასე ერთი ხელის მოსმით უარყო მან უბედური ქალი, მიატოვა და ახალი სადარდებელი გაუჩინა სხვა საწუხართან ერთად.

ბავშვები-მეთქი, ვამბობ, თორემ მისი შვილიშვილები არც ისე პატარები არიან: უფროსმა გოგონამ საშუალო დაამთავრა, დანარჩენები მისი მომდევნონი არიან. ნუთუ მათ მაინც არ აწუხებთ იმისი ფიქრი, რომ მათი ბებია, ოთხ კედელშია გამოკეტილი, ამდენ შავჩარჩოშემოვლებულ სურათებს შორის მხოლოდ იმ იმედით-ღა ცოცხლობს, აგერ ახლა შემომიღებენ ჩემი შვილიშვილები კარებს და აგერ ახლაო.

მაგრამ მეხუთე წელია, ისინი არ ჩანან...

ნ. მ.

# ჩვენი საოჯახო კლუბი

## პედიატრიის ანბანი

## ბავშვის გონებრივი განვითარების დარღვევის ადრეული ნიშნები

გონებრივი ანუ, როგორც მედიკოსები იტყვიან, ნეიროფსიქიკური განვითარების ჩამორჩენა ბავშვობის ასაკში არც ისე იშვიათია. მისი დადგენა სამწუხაროდ, დიდი დაგვიანებით — ხშირად სასკოლო ასაკში ხდება, რაც აძნელებს მკურნალობას. ეს რომ თავიდან ავიცილოთ, საჭიროა მშობლები და აღმზრდელები კარგად გაეცნონ გონებრივი ჩამორჩენის ადრეულ, დასაწყის ნიშნებს.

ერთ თვემდე ასაკის ბავშვის გონებრივი განვითარების შეფასებისას ძირითადი ყურადღება ეთმობა ბავშვის საერთო მდგომარეობას: კუნთების ტონუსს — დაჭიმულობას, კიდურების მდებარეობასა და პოზას, თვალის კაკლის ფორმას და მოძრაობას, იმას, თუ როგორ წოვს ბავშვი ძუძუს, როგორ ტირის.

ერთი თვიდან ერთ წლამდე ასაკის ბავშვის ფსიქიკის შეფასებას საფუძვლად უდევს მოძრაობათა განვითარების ტემპი და შეგრძნებების მაჩვენებლები, სახელდობრ, ხელების მოძრაობა, მიმიკის გამომსახველობა, ღიმილი, მხედველობითი რეაქციების ჩამოყალიბება, ერთ წერტილში ყურება, ხმების აღქმის უნარი, ყურადღების მიზანმიმართულება და სხვა.

ერთიდან სამ წლამდე ასაკის ბავშვის გონებრივი სფეროს მდგომარეობაზე მიუთითებს მეტყველების, მეხსიერების, ყურადღების, ინტერესების სფერო, გრძნობების სიღრმე. სამი წლიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბავშვის ქცევასა და მოქმედებას, გარემოსთან შეგუების უნარს, ბავშვის ინდივიდუალობის გამოვლინებას, ე. ი. ყველა იმ მაჩვენებელს, რაც ახასიათებს ბავშვს, როგორც პიროვნებას.

გონებრივად ჩამორჩენილი ბევრი ბავშვი, მეტწილად, ცერებრალური დამბლით დაავადებულნი, დაბადების პირველი დღეებიდანვე მოდუნებულნი არიან, ზომაზე მეტად სძინავთ, სუსტ რეაქციას ამჟღავნებენ გარემოს მიმართ, ზოგჯერ ავადმყოფურად ყვირიან, დარღვეული აქვთ სუნთქვის რიტმი, კუნთების ტონუსი დაბალია, ემართებათ კუნთებისა და კიდურების კრუნჩხვები.

გართულებულ შემთხვევაში ბავშვი თვალებს აელმებს, თვალების კაკლებს უნებლიედ ამოძრავებს, სახე ასიმეტრიული აქვს, ყლაპვა შეფერხებული, კუნთების ტონუსი მომატებული ანდა, პირიქით, დაქვეითებული. ხშირად ემართებათ კრუნჩხვები.

დაბადებიდან 2-3 კვირის განმავლობაში ძნელი დასადგენია, როგორ განვითარდება დაავადება, მაგრამ თუ კი ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნები უცვლელი რჩება, ან ძალიან ნელა ქრება, ეს, რა თქმა უნდა, საიმედოდ არ ჩაითვლება.

ბავშვის ფსიქიკის შეფასებისას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ე. წ. „გამოცოცხლების კომპლექსს". თუ ბავშვი სასიამოვნო გამღიზიანებელზე — ხმაზე, სათამაშოს დანახვისას, გარშემომყოფების სახის გამომეტყველებაზე სათანადო, საპასუხო რეაქციას იძლევა: უხშირდება სუნთქვა, ამოძრავებს ხელფეხს, თვალები უბრწყინავს, ყოველივე ეს კარგ საიმედო ნიშნებად უნდა ჩაითვალოს.

„გამოცოცხლების კომპლექსი" იწყება 2 თვის ასაკიდან, უმაღლეს გამოხატულებას ოთხი თვის ასაკში აღწევს, შემდეგ კი იგი შეიცვლება ე. წ. „თამაშის კომპლექსით" (7-8 თვეზე).

გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვების უმ-

რავლესობას „გამოცოცხლების კომპლექსი“ მოგვიანებით უვითარდებათ. ასევე გვიანდება მისი უკუგანვითარებაც, რასაც დიაგნოზის დასმისათვის გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება.

ძუძუს წოვის ასაკში ფსიქიკის განვითარების დასადგენად გარკვეული ღირებულება აქვს მხედველობის ფიქსაციას.

გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვი საგნებს თვალს აყოლებს მხოლოდ ერთნახევარი, ორნახევარი თვიდან, ხოლო გაერთწერტილიანებას უფრო გვიან ახერხებს, მაგრამ ჯანმრთელი ბავშვისაგან განსხვავებით, ყოველივე ამას თან არ ახლავს გამოცოცხლებითი რეაქცია.

ჯანმრთელი ბავშვის სმენითი აპარატი დაბადებისთანავე მოქმედებს, გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვებს კი სმენა შედარებით გვიან უვითარდებათ.

ჯანმრთელი ბავშვი ღიმილს მე-6 კვირიდან იწყებს, მესამე, მეოთხე თვიდან კი იგი უკვე ამორჩევით იღიმება — სათამაშოების, ადამიანების, განსაკუთრებით დედის სახის დანახვისას და ა. შ. ჩამორჩენილ ბავშვებს ღიმილის რეაქცია ხშირად რამდენიმე თვითაც კი უგვიანდებათ. მათი ღიმილის გამოწვევა ძნელდება, თანაც ამ ღიმილს თან არ ახლავს მკვირცხლი მოძრაობები და ჭყლოპინი, რაც ესოდენ დამახასიათებელია ჯანმრთელი ბავშვისათვის.

გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვი 3 თვის ასაკშიც ვერ აბრუნებს თავს, არ ეძებს ძუძუს, ვერ ახერხებს ხელების, პირის და თვალების შეთანხმებულად მოძრაობას, არ იჩენს ინტერესს ახლომყოფი საგნებისა და საკუთარი სხეულის ნაწილებისადმი.

ჯანმრთელი ბავშვი 1 წლის ასაკში უკვე ცნობს ოჯახის წევრებს, ორი წლისა ფოტოსურათებშიც ნახულობს მათ, რასაც ვერ ვიტყვით გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვის მიმართ.

ოლიგოფრენ — გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვებს არავითარი სურვილი არა აქვთ გარემოსამყაროს შეცნობისა. 9-10 თვის ასაკში ჯერ კიდევ ვერ ჯდება, ერთი-ორი წლისა ვერ ახერხებს საგნის დაჭერას, არ გიწვდის ხელს, ხშირად ფეხზეც ვერ დგება, სახეს არ ახლავს გამომეტყველების ნაირსახეობა.

ჯანსაღი ბავშვი მე-6 თვეზე იწყებს ბგერათა მოდულირებას, ღუღუნებს, ჭყლოპინებს, სცნობს დედას, ძიძას; ერთი წლისა ცდილობს მიბაძოს უფროსებს სიტყვების გამოთქმაში, აქვს მარტივი სიტყვების ლექსიკონი, უკვე ესმის მისადმი მიმართული წინადადებები. ორი წლის ბავშვის სიტყვათა მარაგი უკვე 300-მდე აღწევს. გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვს კი ჩამოთვლილი ნიშნები გაცილებით გვიან აღენიშნება.

ხუთი თვის ბავშვი უკვე ხელს ჰკიდებს ყველა პატარა საგანს და პირისკენ მიაქვს, ექვსი თვისა ძირს ყრის მათ, ამტვრევს, ხევს, 9-11 თვისა ცდილობს ერთი საგნით მეორე გადააგდოს, ან პირიქით, მიიახლოვოს, მიიზიდოს, ესე იგი, ავლენს გონიერი მოქმედების აქტს.

ოლიგოფრენი ბავშვი გვიან ახერხებს სათამაშოს აღებას, მისით გართობას, არ ინტერესდება თამაშით და, რაც მთავარია, არ ძალუძს შექმნას კონკრეტული სათამაშოს გარეშე რაიმე გამოგონილი, ისეთი თამაში, რასაც ფანტაზია ახლავს. მისი თამაში ერთგვაროვანია, შედგება მრავალჯერ გამეორებული უმარტივესი მოქმედებისაგან.

ყოველივე ზემოაღწერილიდან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელია ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევის ადრეული დიაგნოსტიკა-გამოცნობა. დროული დიაგნოზი, ქმედითი სამედიცინო-პედაგოგიური ჩარევა-ღონისძიებები, შესაძლებელს ხდის თავიდან ავიცილოთ გონებრივი ჩამორჩენილობის — ოლიგოფრენიის ბევრი შემთხვევა.

**მირიან მესტიაშვილი,**

**ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბავშვთა და მოზარდთა განყოფილების გამგე, რესპუბლიკის მთავარი ფსიქიატრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.**

## საბავშვო სამზარეულო

ჩვილი ბავშვისთვის კერძის მომზადებას გარკვეული თავისებურებანი გააჩნია. 9 თვემდე ბავშვს ფაფები, ბოსტნეული, ხორცი, ღვიძლი, ხაჭო აუცილებლად საცერზე გახეხილი უნდა მიეცეს. შემდეგში, ვიდრე ბავშვი წლის შესრულდება, პროდუქტები ან სახეხზე უნდა დახეხოთ, ან ორჯერ გაატაროთ ხორცსაკეპ მანქანაში. ერთი წლის ზემოთ ფაფეულს გახეხვა აღარ სჭირდება, ოღონდ ძალიან კარგად უნდა მოიხარშოს. პიურესთვის მოხარშული ბოსტნეული გულმოდგინედ დასრისეთ; ხშულცხობილები (ზაპეკანკა), ხორცის კატლეტი და გუფთა ორთქლში მოხარშეთ.

წელიწადნახევრამდე ბავშვის კერძი შაქრითა და მარილით კი არ უნდა შეაზავოთ, არამედ შაქრის ვაჟინით (სიროფით) და მარილის ხსნარით. შაქრის ვაჟინი 2-3 დღით ადრე მოადუღეთ. — 100 გრ შაქარს მეოთხედ ჭიქა მდუღარე წყალში გახსნით და ნელ ცეცხლზე ადუღებთ 15-20 წუთის განმავლობაში. შემდეგ რამდენიმე ფენად დაკეცილ დოლბანდში გაწურავთ, გამოხარშულ ბოთლში ჩაასხამთ და, თავდაცობილს, მაცივარში შეინახავთ.

სუფრის მარილის ხსნარი:

25 გრ მარილს გააზავებთ 100 გრ ცხელ წყალში და 10 წუთს ადუღებთ. შემდეგ დოლბანდში გაწურავთ.

წლინახევრის ბავშვისათვის უკვე შეიძლება ჰაერღუმელში გამომცხვარი კერძების მიცემა. შემწვარი კი (კატლეტი, კარტოფილი) ორი წლის ასაკიდან მიეცემა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველი ახალი კერძი ბავშვისთვის უცხო და უჩვეულოა. ამიტომ ერთი წლის ბავშვს ახალი საკვები ცოტ-ცოტა მიეცით — 2-3 ჩაის კოვზი დღეში, შემდგომში კი ულუფა თანდათან გაზარდეთ და ნორმამდე აიყვანეთ (ეს ნორმა ქვემოთ, რეცეპტებში გვაქვს მითითებული).

არ შეიძლება კვების რაციონში ერთდროულად ორი (ან მეტი) ახალი კერძის ჩართვა. დაე, ბავშვმა რამდენიმე დღის განმავლობაში ერთ კერძს გაუგოს გემო, შეეჩვიოს, მერე კი მეორესაც შესთავაზებთ და თანდათან შეაჩვევთ.

ამ წესის დაცვა სავალდებულოა, რათა ბავშვს კუჭ-ნაწლავის აშლილობა არ დაემართოს.

კიდევ ერთი პრაქტიკული რჩევა: ზოგიერთი კერძი (პუდინგი, რულეტი, ხშულცხობილი) უფრო ადვილი მოსამზადებელია, როცა რეცეპტში მოცემულ პროდუქტებს ორმაგი, სამმაგი რაოდენობით აიღებთ. ხოლო იმას, რაც ბავშვის ულუფას აღემატება, უფროსებიც კარგად მიირთმევენ.

### ხაჭოს პუდინგი

50 გრ ხაჭო გახეხეთ, შეურიეთ 1 ჩაის კოვზ შაქრის ვაჟინსა და $1/3$ ჩაის კოვზ კარაქში გასრესილი $1/5$ კვერცხის გული, მიუმატეთ დანაყილი და გაცრილი 1 სუფრის კოვზი ორცხობილას ფქვილი, ბოლოს კი — 1 სუფრის კოვზი გახეხილი ვაშლი ან ამდენივე რაოდენობის კარაქში და რძეში ჩაშუშული და შემდეგ წვრილ სახეხზე გატარებული სტაფილო. ყველაფერი კარგად აურიეთ, ფრთხილად შეურიეთ შიგ $1/5$ ათქვეფილი კვერცხის ცილა. ეს მასა მოათავსეთ კარაქწასმულ და ორცხობილამოყრილ ყალიბში ან ტაფაზე, დახურეთ სახურავი ან ცხიმწასმული ქაღალდი, მოათავსეთ წყლიან თუნუქის ფურცელზე და შედგით ზომიერად გაცხელებულ ჰაერღუმელში 40-50 წუთით. მზა პუდინგს მოავლეთ ერთი ჩაის კოვზი გადადუღებული და გაციებული ნაღები და მორთეთ ჯემით.

### ხაჭოს ვარენიკები

50 გრ გახეხილ ხაჭოს დაუმატეთ $1/5$ კვერცხის გული, 1 ჩაის კოვზი შაქრის ვაჟინი, $1/2$ ჩაის კოვზი მარილის ხსნარი, შეურიეთ 1 ჩაის კოვზი ფქვილი და ისევ კარგად მოურიეთ.

მიღებულ ერთგვაროვან მასას მიეცით ძეხვის ფორმა, ფქვილმოყრილ ფიცარზე გააგორეთ, დაჭერით პატარა ნაწილებად და ჩაუშვით სულ ოდნავ მარილიან მდუღარე წყალში. როცა ვარენიკები ამოტივტივდება, თეფშზე ამოალაგეთ, დაადეთ ზემოდან $1/2$ ჩაის კოვზი კარაქი და მოავლეთ 1 ჩაის კოვზი გადადუღებული ნაღები ან არაჟანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფქვილიანი ომლეტი

1 ათქვეფილ კვერცხს დაუმატეთ $3/4$ ჩაის კოვზი პურის ფქვილი, $1/3$ ჩაის კოვზი შაქრის ვაჟინი, $1/2$ ჩაის კოვზი მარილის ხსნარი, $1/4$ ჭიქა რძე, აურიეთ და დაასხით ცხელ ტაფაზე, რომელზეც წინასწარ 1 ჩაის კოვზ კარაქს დადებთ. შემდეგ ტაფა ჰაერღუმელში შედგით, ვიდრე ზევიდან გადაიბრაწება. მზა ომლეტს შეგიძლიათ მოასხათ 1 ჩაის კოვზი არაჟანი.

## ბოსტნეულის კერძების მომზადების საერთო წესი:

ბოსტნეული ზედმეტად არ უნდა გადაიხარშოს და მოიხრაკოს. ეს მას გემოსაც უფუჭებს და კვებით ღირებულებასაც უქვეითებს.

აი, დაახლოებით რამდენი დრო სჭირდება ბოსტნეულის სითბურ დამუშავებას: კანგაუცლელ კარტოფილსა და სტაფილოს ორთქლში მოსახარშად — 20-25 წუთი, ხოლო წყალში მოსახარშად: კარტოფილს —30 წუთი, სტაფილოსა და ყვავილოვან კომბოსტოს — 25 წუთი, ჭარხალს — 1 საათზე ცოტა მეტი, დაკეპილ თეთრ კომბოსტოს — 15 წუთი; მოსაშუშად: სტაფილოს — 25-30 წუთი, კომბოსტოს — 1 საათამდე, დაკეპილ ჭარხალს — საათნახევარი.

## გოგრისა და ვაშლის პუდინგი

100 გრ კანგაცლილი გოგრა მოშუშეთ 1 სუფრის კოვზ რძეში. როცა დარბილდება, ჩააყარეთ 2 ჩაის კოვზი მანანის ბურღული, მოურიეთ და კიდევ 8-10 წუთს გააჩერეთ ნელ ცეცხლზე. ცოტა შეაგრილეთ და შეურიეთ $1/4$ კვერცხის გული, 1 ჩაის კოვზი შაქრის ვაჟინი, $1/2$ ჩაის კოვზი მარილის ხსნარი, დაუმატეთ გახეხილი ვაშლი და $1/4$ ათქვეფილი კვერცხის ცილა. ყველაფერი ეს მოათავსეთ კარაქგამოსმულ პატარა ქვაბში, ჩადგით წყლიან ჭურჭელში და 30-40 წუთით შედგით ჰაერღუმელში.

## კარტოფილის ხშულცხობილი

$1\frac{1}{2}$ კარტოფილი მოხარშეთ და ცხლად გახეხეთ საცერზე, შიგ შეურიეთ 2 სუფრის კოვზი ცხელი რძე და $1/4$ კვერცხი. ეს მასა გადაიტანეთ კარაქწასმულ მაღალ ტაფაზე, მოუსწორეთ ნაპირი, გადაუსვით 1 ჩაის კოვზი არაჟანი, ტაფა ჩადგით წყლიან ჭურჭელში და ნახევარი საათით შედგით ჰაერღუმელში. მზა ხშულცხობილს მოასხურეთ 1 ჩაის კოვზი გამდნარი კარაქი და მოაყარეთ 1 ჩაის კოვზი გახეხილი ყველი.

## გთხოვთ დაიხსომოთ:

**ბავშვის კერძები მხოლოდ ახალი პროდუქტებისაგან უნდა მომზადდეს.**

**• კერძების მომზადებისას მკაცრად უნდა დავიცვათ სანიტარული წესები.**

**არ შეიძლება ბავშვისათვის წინა დღით მომზადებული კერძის მიცემა!**



## ხისტი და რბილი წყალი

ინგლისის სამედიცინო ჟურნალმა „ლანცეტმა" ახლახან გამოაქვეყნა გამაფრთხილებელი წერილი. მისი ავტორი — დიდი ბრიტანეთის მთავარი სამედიცინო საბჭოს წევრი წერს, რომ დაკვირვება ჩაატარა 65 ხანდაზმულ ქალზე, რომლებიც ჯიუტად მხოლოდ ნადუღ წყალს სვამდნენ. აღმოჩნდა, რომ რბილი წყალი ბევრად უფრო საშიშია, ვიდრე მედიკოსები ფიქრობენ. ასეთი წყალი არამარტო ამცირებს ძვლების საერთო წონას, არამედ გულსაც აზიანებს და ტვინის სისხლძარღვებსაც ავიწროებს.

სტატიაში დასაბუთებულია, რომ წყალი, რომელიც კალციუმის მარილებს საკმაო რაოდენობით არ შეიცავს, ორჯერ ზრდის გულის დაავადების შესაძლებლობას.

## მეტრონომი წამალია ენაბლუთათვის

მეტრონომი ხელსაწყოა, რომელიც არამარტო მუსიკოსებს სჭირდებათ. თურმე, ის შეიძლება ექიმებსაც გამოადგეს.

ეს იდეა ნიუ-იორკის თერაპიული კლინიკის დირექტორს შარლოტა ციტრის ეკუთვნის. ის მეტრონომს იყენებს... ენაბლუთა სამკურნალოდ. მისი პაციენტები თვალყურს ადევნებენ ხელსაწყოს დარტყმებს და ისე მღერიან, ჯერ ნელა მღერიან — 60 ტაქტს წუთში, შემდეგ გადადიან რიტმულ პროზაზე, ოღონდ ტემპს უფრო აჩქარებენ. ჰოდა, სწორედ აქ იწყება სასწაული — რიტმი შველის მათ დაძლიონ ენაბლუობა, გააკონტროლონ. ის ბგერები, რომელთა წარმოთქმა ადრე უჭირდათ და გამოიმუშაონ ბგერების სწორი წარმოთქმის ჩვევები.

მკურნალობის კურსი კლინიკაში მხოლოდ ერთ კვირას გრძელდება. შემდეგ პაციენტები ვარჯიშს სახლში განაგრძობენ და თანდათან ზრდიან ტემპს. ექვსი კვირის შემდეგ ისინი სრულიად იკურნებიან ამ ნაკლისაგან.

## კოფეინი — ასპირინის წინააღმდეგ?

გაციებულ ავადმყოფს რომ სიცხე დაუწიონ, ჩვეულებრივ, ექიმები ურჩევენ მიიღოს: ასპირინი და დალიოს რაც შეიძლება მეტი მაგარი ცხელი ჩაი, მაგრამ რამდენად გამართლებულია მეცნიერულად ეს ტრადიციული მკურნალობა?

ამ კითხვაზე ინგლისელმა ფარმაკოლოგებმა ა. მილტონმა და მ. დასკომბემ უარყოფითი პასუხი გასცეს. მათი აზრით, ასპირინი ნამდვილად დაბლა სწევს ტემპერატურას, მაგრამ კოფეინი, რომელიც უხვადაა ჩაიში, პირიქით, მაღლა სწევს სიცხეს და ასპირინის სამკურნალო ზეგავლენას აქარწყლებს.

ამ ჰიპოთეზის დასადასტურებლად სწავლულებმა შემდეგი ექსპერიმენტი ჩაატარეს: ცხოველთა ორ ჯგუფს შეუყვანეს სიცხის ამწევი წამალი — ენდოტოქსინი. ერთ ჯგუფს მისცეს სუფთა ენდოტოქსინი, ხოლო მეორე ჯგუფს — ენდოტოქსინი კოფეინთან ერთად. აღმოჩნდა, რომ ცხოველთა იმ ჯგუფს, რომელთაც კომბინირებული წამალი მიიღეს, ტემპერატურამ უფრო მაღლა აუწია, ვიდრე იმ ცხოველებს, რომელთაც სუფთა ენდოტოქსინი მიიღეს. ამის შემდეგ, მეცნიერებმა გამოსაცდელ ცხოველებს მკურნალობა დაუწყეს. ასპირინით და კოფეინით მკურნალობისას ცხოველთა ტემპერატურა სტაბილური გახდა, მაშინ, როცა მარტო ასპირინის მოქმედებით სიცხე თანდათან დაბლა იწევდა. ეს ექსპერიმენტი სწავლულებმა შემდეგ სტუდენტ-მოხალისეებზეც გაიმეორეს.

## პალმები შველას ითხოვენ

1970 წელს მოულოდნელად დაიღუპა ასი წლის წინათ მდინარე მაიამის შესართავთან (აშშ) დარგული 10 ძირი ქოქოსის სამეფო პალმა. იქნებ, ამისათვის განსაკუთრებული ყურადღება არც მიექციათ, რომ ორი-სამი წლის შემდეგ სამხრეთ ფლორიდაში უკვე 350.000 ძირი ხე არ დაღუპულიყო.

ეს უკვე ნამდვილი ეპიდემია იყო. შველისათვის სპეციალისტებს მიმართეს. აღმოჩნდა, რომ ფლორიდაში შეუტანიათ პალმების ერთ-ერთი უსაშინლესი დაავადება — სიყვითლე, რომელიც პირველად აღმოჩენილი იყო 1891 წელს. სიყვითლით დაავადებულ პალმებს ჯერ მკვახე კაკლები სცვივათ, მერე ფოთლები უშავდებათ და ღეროები უსკდებათ, და ბოლოს, დიდებული მზეთუნახავი პატარა კუნძად იქცევა. სწავლულთა ყოველგვარი ცდა მომაკვდავი პალმების გადასარჩენად, ჯერჯერობით უშედეგოა.

ამერიკელ მეცნიერთა აზრით, ამ ხის დაავადებას იწვევს უმცირესი მიკროორგანიზმები, რომელთა გამოყოფა, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ მოხერხდა. ხეები კი შველას ელიან...

ჟურ. „ზნანიე სილა"

# ანა მანიანის სახელობის პრემია

სახელგანთქმული იტალიელი კინოვარსკვლავი ანა მანიანი, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინათ გარდაიცვალა, ჩვენში ცნობილია ფილმებით „რომი — ღია ქალაქი“, „ყველაზე მშვენიერი“, „ოცნებები გზებზე“.

რომმა უკანასკნელი პატივი მიაგო საყვარელ მსახიობს. გრანდიოზული იყო მისი დასაფლავება. მის დაკრძალვას ესწრებოდნენ მთავრობის წარმომადგენლები, სენატორები, კინორეჟისორები სხვადასხვა ქვეყნებიდან.

საკმაო ხანი გავიდა, მანიანის გარდაცვალებიდან, მაგრამ იტალიის ჟურნალ-გაზეთებში ჯერაც არ წყდება წერილების ნაკადი. წერენ მისი თაყვანისმცემლები, ჟურნალისტები, კინომსახიობები.

— „ძვირფასო ლუკა, — წერს კინოვარსკვლავის შვილს იტალიური გაზეთის „პაეზე სერას“ კორესპონდენტი, კინოვარსკვლავის მეგობარი ქალი, — შენ ალბათ განცვიფრებული ხარ, რომ იმ მძიმე დღეებში ჩემგან სამძიმრის დეპეშა არ მიგიღია, მაგრამ დედაშენის სიკვდილი ჩემთვის ისეთი მტკივნეული იყო; ვერავითარი დეპეშა ვერ გამოხატავდა. თანაც იმ დროს, როცა დედაშენი გარდაიცვალა, მანდედან შორს, მთებში ვიყავი: გაზეთ „უნიტას“ ფლორენციელ რედაქტორ რობერტო მაცისთან ერთად მასალა უნდა მოგვემზადებინა. იქ არც გაზეთია და არც რადიო. მხოლოდ ბარში ჩამოსვლისას გავიგეთ ეს თავზარდამცემი ამბავი.

მაშინვე რომისაკენ გამოვეშურეთ! მაგრამ უკვე გვიან იყო. ყველაფერში იგრძნობოდა, რომ რომს აკლდა რაღაც მნიშვნელოვანი, აღარ იყო ჩვენი საყვარელი ნანარელა, ანა მანიანი...“

პოეტი ელიო ფიორე თავის წერილში ერთ მოგონებას გვთავაზობს მსახიობზე: „მაშინ ბავშვი ვიყავი, მახსოვს ეკრანზე უჩვენებდნენ ფილმს — „რომი — ღია ქალაქი“. მე ღრმად ჩამრჩა მეხსიერებაში სცენა — ანა მანიანი გერმანელი მეტყვიამფრქვევის მიერ გულგანგმირული ეცემა მიწაზე. მახსოვს, როგორ ატირებული გავიქეცი სახლში“.

რედაქციებში თურმე არ წყდება ტელეფონის ზარი. კითხულობენ ყველაფერს, რაც კინოვარსკვლავს ეხება, იგზავნება ლექსები, მიძღვნილი ანა მანიანისადმი. მშვენიერია მირელა კოენ ტაუს ლექსი, რომელიც მთავრდება ფრაზით „ლუპა დი რომა“, რაც „რომის თვალს ნიშნავს“. მსახიობმა დიანა ტორინიერიმ დაწერა ლექსი, რომელიც მისი ლექსების კრებულში შევა.

რედაქციებში მიდის ბევრი წინადადება, ხელმოწერილი სხვადასხვა ფირმებისაგან, რათა ტრასტევერეში აღიმართოს ა. მანიანის ძეგლი.

მისი ნიჭის თაყვანისმცემლები საყვედურობენ, რატომ იყო, რომ ბოლო წლებში გარდა ტელევიზიისა, არ იყენებდნენ მის ტალანტს, მის ნიჭს. ვფიქრობთ, ეს საყვედური მოკლებული არ არის საფუძველს.

„რატომ იყო, — წერდნენ აღშფოთებული მაყურებლები, — რომ ფილმში „დიდის მამაცობა“ სოფი ლორენი მიიწვიეს, როცა აქ, რომში, „საკუთარ სახლში“ გვყავდა ისეთი ნიჭიერი მსახიობი, როგორიც ანა მანიანი იყო.

გარდაცვლილი მსახიობის პატივსაცემად რომში დაწესდა ანა მანიანის სახელობის პრემია, რომელიც ყოველწლიურად მიეკუთვნება წლის ყველაზე საუკეთესო ფილმს, კინომოღვაწეებს — ეს იქნება რეჟისორი, სცენარისტი თუ მსახიობი, მათ, რომლებიც კარგად ასახავენ ნამდვილ რომაულ ხასიათს, რადგან ანა მანიანი კინოხელოვნებაში აღიარებულია, როგორც ამ მარადიული ქალაქის სიმბოლო.

ამ წლის ყველაზე საუკეთესო ფილმად მიჩნეულია „ტოსკა“. ანა მანიანის სახელობის პრემია, გარდა თვითონ ფილმისა, მიენიჭათ მასში მონაწილე მსახიობებს — ლუიჯი მანის, მონიკა ვიტის, ლუიჯი პროიეტის, ალდო ფაბრიცის, ვიტორიო გასმანს, ალბერტო სორდის (როგორც ამ ფილმის დამდგმელ-რეჟისორსა და მთავარ მოქმედ გმირს).

ანა მანიანის სახელობის პრემია მიენიჭათ აგრეთვე კინემატოგრაფიაში და ტელევიზიაში მომუშავე კინოჟურნალისტებს — ჯან კარლო დელ რეს, ფრანკო კაულის, ლელო ბერსანის, მარიო ნატალესა და სხვებს.

## სოფი ლორენი ახალ ფილმში

სახელგანთქმული იტალიელი კინორეჟისორი ვიტორიო დე სიკა იღებს ფილმს ცნობილი იტალიელი მწერლის ლუიჯი პირანდელოს რომანის მიხედვით „მოგზაურობა“.

მთავარ როლში მიწვეულია კინოვარსკვლავი სოფი ლორენი. მასთან ერთად კინოსურათში თამაშობენ რიჩარდ ბარტონი, ანაბელა ინკონტრერა, იან ბანენი.

გადაღებები იწარმოებს ნოტოში, პალერმოში, ნეაპოლსა და ვენეციაში.

## ფილმი მერლინ მონროზე

ბევრი დაიწერა და იწერება ამერიკელ კინოვარსკვლავ მერლინ მონროზე. ბევრი წიგნია გამოცემული, მაგრამ მათ შორის აღსანიშნავია ამ უკანასკნელ ხანს დასტამბული, ნორმან მაილერის ცნობილი ნაწარმოები „მერლინ“. ამერიკელმა კინემატოგრაფისტებმა ამ წიგნის მიხედვით შექმნეს ფილმი „სექს-სიმბოლო“, რომელიც მოგვითხრობს კინოვარსკვლავის ცხოვრებასა და იდუმალ სიკვდილზე. ამჯერად ფილმი ტელეეკრანებზე გამოვიდა, მაგრამ უდავოა, მალე გაჩნდება კინოეკრანებზეც.

მერლინ მონროს როლს ასრულებს ახალგაზრდა მსახიობი კონი სტივენსი.

იტალიურიდან თარგმნა **ზაირა სტურუამ**

### შეცდომის გასწორება

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ მეექვსე ნომრის მეორე გვერდზე მესამე სვეტის ბოლო აბზაცი უნდა იკითხებოდეს „თენგიზ ომიაძე სამთო ინჟინერია“...

გარეკანის პირველ გვერდზე — „ძველი თბილისი“. ნახ. ე. ახვლედიანისა; „გასეირნება“ — ე. ბალდავაძისა, „ქუთაისი, ძველი უბანი“ — რ. ჯავრიშვილისა; მეოთხე გვერდზე — მანანა ქიქოძის პორტრეტი — ქ. მალალაშვილისა; მზია გაბუნია — ნ. იანქოშვილისა; „აბესალომ და ეთერი“ — თ. აბაკელიასი; ყიფიანის პორტრეტი — ნ. ფალავანდიშვილისა.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. ბურბენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ი. ჩოფიკაშვილი

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, №: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საქმეთამმართველის — 93-98-54, გადაეცა ასაწყობად 22/V-74 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/VI-74 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3,
ტირაჟი 119.800. შეკვ. 1970 უე 01811 ფასი 30 კაპ.



№ 1

კაბა იკერება სადა ბამბის ან აბრეშუმის ქსოვილისაგან. ლიფი გადაჭრილია, გვერდებში ჩადგმული აქვს ნაჭრები, გაწყობილია მაქმანით.

№ 2

კაბა ახალგაზრდა ქალისათვის. ლიფი გადაჭრილი და დაწყობილ-ნაკეცებიანია. კაბას ამშვენებს „როკოკოს" სტილის ნაქარგი. ძაფები ნაზი შეფერილობის უნდა იყოს.

№ 3

კაბა იკერება მოჩითული ქსოვილისაგან. ლიფი გადაჭრილია. იუბკა კლოში. ქამარი წელშია ჩაკერებული. მკერდთან აქვს მსუბუქი, აშვებული ნაკეცები. ფრთისმაგვარი სახელოები ჰარმონიულად ეხამება იუბკას.

№ 4

კაბა შეკერილია მოჩითული აბრეშუმისაგან. იგი სპორტულ ყაიდაზეა შესრულებული. ლიფი შეიძლება გადაიჭრას კიდეც. გვერდები შეჭრილი და გაკერილი აქვს. კაბა გაწყობილია ორმაგი ჭიბეებით.









ИНДЕКС 76178